# ᲙᲕᲐᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი | საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველკვირეული გაზეთი | მეოერთმეტე

№ 31 | ᲙᲕᲘᲠᲐ, 30 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1903 Წ. | № 31

გაზეთის ფასი: ერთის წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ ერთის წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „კვალის“ რედაქციაში: რუსის ბაზარში, საეკლესიო სახლში, იქვე, სადაც ექ. ხელაძის სტამბაა.

რედაქციის კანტორა დიაა ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე. სარედაქციო საქმეებზე პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გარდა ორშაბათის და სამშაბათისა, შუადღის 12-დან 2 საათამდე.

ფასი განცხადებისა უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი ორი შაური.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „КВАЛИ“.



**ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:** თბილისი, 30 ნოემბერი, ყვირილელისა.—ჰერბერტ სპენსერი, არ. რაჟდენიძისა.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთი.—უცხოეთის ამბები.—ილიკოს უბედურება (მოთხრობა) თარგ. თამარა გოგოლაშვილისა.—კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს, თარგმანი ლ. ელიავასი.—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, ა. წულუკიძისა.—საყურადღებო ციფრები, განშინისა.


## თბილისი, 30 ნოემბერი

„თბილისის ფურცლის“ კვირის №-ში მოყვანილია ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1902 წლის განმავლობაში, რომელიც თბილისის ქალაქის მაურავმა წარუდგინა წელს გუბერნატორს.

ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია მკითხველთან ქალაქის თვითმართველობის ამა თუ იმ დადგენილებაზე და ყოველთვის იმ დასკვნით გაგვითავებია, რომ ქალაქის თვითმართველობა ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მთავარ მოთხოვნილებებს. და არც შესაძლებელია იმ პირობებში, რომელშიაც დღეს ქალაქის თვითმართველობა იმყოფება, რომ მან თავის დანიშნულება შეასრულოს. განა შეუძლია ქალაქის ყველა მცხოვრებზე იზრუნოს ერთმა პატარა ჯგუფმა, რომელიც არც დაახლოვებულია დანარჩენ წრეებთან იმდენად, რომ იცნობდეს მათ საჭიროებებს და არც დაინტერესებულია მასში, რომ ეს საჭიროებანი დაკმაყოფილებულ იქნეს? არსებული ცენზი იმდენად ზღუდავს ქალაქის ამრჩეველთა რიცხვს, რომ როდესაც ფინანსთა მინისტრმა სახელმწიფო საბჭოში წინადადება შეიტანა, ეს ცენზი კიდევ გავადიდოთო, სახელმწიფო საბჭომ უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ 336 ქალაქში, რომლების შესახებ მას ცნობები უკვე შეკრებილი ქონდა, 154-ში ამრჩეველთა რიცხვი ისედაც ასზე ნაკლები გამოდიოდა. და აი, ასეთ თვითმმართველობას არ შესწევს არც სურვილი და არც ძალა, რომ მთელ ქალაქს უპატრონოს და წინ გაუძღვეს. სწორეთ ასეთია თბილისის თვითმართველობაც.

აი მაგალითები გასულ წლის ანგარიშიდან. ქალაქის წყლის-საყვანის შენახვა 104,261 მანეთათ დამჯდარა. წყალი—ეს უმთავრესი მოთხოვნილებაა ქალაქის, და თვითმართველობა იმას უნდა სცდილობდეს, რომ წყლის-საყვანით სარგებლობდეს ყველა მცხოვრები, გინდ ქალაქის კასამ ამით ზარალი ნახოს. თბილისის მამებს კი წყლის-საყვანი ერთ უმთავრეს მოგების წყაროთ გადაუქცევიათ. გასულ წელს წყალს ქალაქისთვის სულ 262,423 მ. მიუცია, მაშასადამე 158,162 მან. წმინდა შემოსავალი. რა ენაღვლებათ ჩვენს მამებს, რომ მცხოვრებთა დიდი ნაწილი მოკლებულია წყლის-საყვანს სიძვირის გამო და მტკვრის წყალს უნდა დასჯერდეს, რომ მეორე დიდი ნაწილი თუმცა სარგებლობს წყლის საყვანით, მაგრამ იმავ სიძვირის გამო იძულებული არის ეს წყალი მამასისხლათ გამოიზოგოს?—ის, ვინც თავის შემოსავალ-გასავალს ას თუმნობით ითვლის, წყალზე დახარჯულ ორ გროშს არაფრათ აგდებს, და წყლის-საყვანის სიძვირე მთელის თვისის სიმძიმით კისერზე ღარიბ მცხოვრებლებს აწევს.

იმის მაგივრათ, რომ ქალაქმა შეძლებულ მცხოვრებთ გამოაღებიოს ხარჯი იმ საგნებზე გადასახადთა დაწესებით, რომელიც მათს გასათუთებელ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, და შემდეგ ეს ფული საერთო, აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მოახმაროს,—ქალაქი ართმევს ფულს მცხოვრებთა ყველაზე ღარიბ ნაწილს და ამ ფულსაც ვინ იცის, რაებში ხარჯავს. ეს არის სწორეთ ის უკუღმა სამართალი, რომელიც აუცილებელი შედეგია თვითმართველობის უკუღმართ მოწყობილობის.

წყალს გარდა ჩვენს ქალაქს აქვს მეორე მთავარი წყარო შემოსავლის—მცხოვრებთა სადგომი, თავშესაფარი. აქედან მას 396,517 მ. შემოსვლია.

ვნახოთ, რაში დახარჯულა უმთავრესათ ქალაქის შემოსავალი. ხალხის განათლებაზე დაუხარჯავთ 141.290 მან., მხედრობის სადგომ-შენობებზე—127,639 მ. (აქედან ხაზინას 65,000 მან. მიუცია). საექიმო, ვეტერინარულ და სანიტარულ ნაწილზე ერთათ—124,639 მან., პოლიციაზე—103,122 მ., ქველმოქმედებაზე—10,777 მ., მთავრობის დაწესებულებათა შენახვაზე—12,327 მან. და ასე ბოლომდის. ახლა ვიკითხოთ, რა უფრო ესაჭიროება დღეს ჩვენს მცხოვრებლებს, ზოგიერთი ზემოთ ჩამოთვლილი საგანი, თუ, მაგალითათ, იაფი წყალი და იაფი თავშესაფარი?

შეიძლება, თვითმართველობამ გვითხრას, ყველაფერს მე თავს ნუ მახვევთ, არც მე ვარ ჩემს მოქმედებაში სრულებით თავისუფალიო. ეს მართალია; როდესაც თვით-მმართველობა-

ზე ვლაპარაკობთ, ის აპეკაც უნდა სახეში ვიქონიოთ, რომელიც მაზე დაწესებულია, მაგრამ მაინც... აი, წყლის საქმის მოწყობა ხომ მის ხელთ არის და როგორ მოუწყვია იმას ეს საქმე?

* * *

ახლა, მკითხველო, ერთი რამე უნდა გიამბო და წინდაწინვე ბოდიშს ვიხდი შენ წინ ამისთვის. ის საგანი, რომელზედაც უნდა გელაპარაკო, შენთვის ნაცნობი არის. შენ უკვე შედგენილი გაქვს მასზე აზრი, ბევრი გიკითხავს ამის შასახებ „კვალის" ფურცლებზე და, ვინ იცის, სრულებით მოგაბეზრა თავი მაზე ლაპარაკმა. მაგრამ ერთი გარემოება, რომელსაც შენ ქვემოთ დაინახავ, აუცილებლათ ხდის ჩვენთვის დავუბრუნდეთ ამ საგანს. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ბ. ზდანოვიჩზე და მის მოქმედებაზე.

ამ რამდენიმე თვის წინეთ ბ. ქვარიანმა მოათავსა გაზეთ „ბაქო"-ში სამი უშველებელი ფელეტონი, სადაც ჩამოთვლილი ჰქონდა ყველა ის ბოროტ-მოქმედება, რომლითაც ბ-ნ ზდანოვიჩმა ისახელა თავი ჭიათურის საქმეებში. ბ. ზდანოვიჩმა, თავის ჩვეულების წინაალმდეგ, ხმა ამოიღო ამ წერილის შესახებ და პასუხი გასცა ბ. ქვარიანს, სადაც, რასაკვირველია, არც ერთი ბრალდება დარღვეული არ ყოფილა, მაგრამ, სამაგიეროთ, თვით ბ. ქვარიანის წინაალმდეგ ისეთი ბრალდება იყო წამოყენებული, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა არც ერთ ზდანოვიჩის წინაალმდეგ მოყვანილ ბრალდებას. აი, როგორ ხსნიდა ბ. ზდანოვიჩი ქვარიანის მის წინაალმდეგ ამხედრებას. ამ ვაჟბატონს,—ამბობდა ბ. ზდანოვიჩი,—სურდა მიეღო „შავი-ქვის" გამგეობის წევრის ადგილი და როდესაც ეს მოლოდინი გაუმტყუვნდა, მიზეზათ მე ჩამთვალაო. შემდეგ ჩემი დახმარებით უნდოდა „შავი ქვის" საზოგადოებიდან შემწეობის გამოტანაო. „ვიმოწმებ ამ შემთხვევაში სწორეთ იმ დ. ნ. ბაქრაძეს,—განაგრძობდა ბ. ზდანოვიჩი,—რომელსაც ასე წარამარა იმოწმებს თვით ბ. ქვარიანი და რომელსაც ის ჩემთან ერთათ დიდი პატივით ეპყრობა. ჭიათურის მრეწველთა მეხუთე კრების გათავების შემდეგ სწორეთ ამ დ. ბაქრაძემ წინადადება მომცა ბ. ს. ქვარიანის სახელით (ეს დაიმახსოვრე, მკითხველო; აქ კურსივი ზდანოვიჩისაა) რომ მე დამევიწყნა წინანდელი მისი მოქმედება ჩემს წინაალმდეგ და „შავი ქვის" საზოგადოებიდან შემწეობა ან ჯილდო გამოემეტნა ქვარიანისთვის. მე არ ვისურვე მორიგების ყიდვა და, რასაკვირველია, ომი გამომიცხადა გაზეთ «ბაქოში»".

ეს იყო ბ. ზდანოვიჩის ბრალდება. ჩვენ, სხვებთან ერთათ, აქედან ის შთაბეჭდილება გამოვიტანეთ რომ ბ. ქვარიანი ბ. ზდანოვიჩმა სწორეთ ისე დაიჭირა, როგორც ბ. ზდანოვიჩი—ბ. ქვარიანმა. „როცა ორი ასეთი კაცი ერთმანეთს შეეტაკება, პატიოსანი ხალხი ყოველთვის მოგებული რჩებაო", ვიმეორებდით გულში ინგლისურ ანდაზას, და „კვალმა" მაშინ გამოთქვა აზრი, ბ. ქვარიანი ველარ გაივლის ჩვენს საზოგადოებაში, სანამ ამ ბრალს არ მოიცილებსო. დღეს ბ. ქვარიანმა უტყუარის საბუთით დაამტკიცა, რომ ბ. ზდანოვიჩის ბრალდება თავიდან ბოლომდე ცილის წამებაა, და „კვალი" ზნეობრივათ ვალდებულია მოიყვანოს თავის ფურცლებზე ეს საბუთი. აი, რა პასუხს აძლევს ბ. ზდანოვიჩის მოწამე, დ. ბაქრაძე, ბ. ქვარიანს მის კითხვაზე, მართალია თუ არა ზდანოვიჩის ბრალდებაო: „ბ. ს. ქვარიანს. დიდათ პატივცემულო სიმონ ალექსის ძევ! თქვენ მე მომანდვეთ მომეთხოვა ბ. ზდანოვიჩიდან, როგორც „შავი ქვის" გამგესაგან, არა შემწეობის, არამედ იმ ჯილდოს გამორთმევა, რომელიც გეკუთვნოდათ ხანგრძლივ შრომისათვის, როგორც ამ საზოგადოების დამაარსებელ კომისიის სეკრეტარს და მის წესდების შემდგენელს. თქვენ არ გითხოვიათ ჩემი პირით მისგან არავითარი ადგილი, არც შერიგება და წარსულის დავიწყება. მაგრამ მე თვითონ ჩემის სახელით (ეს შეადარე, მკითხველო, ზდანოვიჩის სიტყვებს; აქ კურსივი ჩვენია) ვთხოვე ზდანოვიჩს დაევიწყნა ყველა უთანხმოება, რომელიც თქვენ ორ შორის იყო, და საქმის ინტერესების [illegible] არ ჩაეშალა თქვენი გამგეობაში არჩევა, რადგანაც სასარგებლო კაცათ გთვლიდით. სრული პატივისცემით—დ. ბაქრაძე".

შემდეგ ბ. ქვარიანი ამტკიცებს თვით ბ. ზდანოვიჩის მომხრეების წერილებით, რომ ბ. ზდანოვიჩი სცდილობდა საზოგადო ფულით ქვარიანთან მორიგება ეყიდნა; მაგრამ ჩვენ ამას აღარ გამოვუდგებით. ჩვენი მკითხველი უამისოთაც კარგათ იცნობს ბ. ზდანოვიჩის ფიზიონომიას. ჩვენი ვალი იყო—ბ. ქვარიანის გასამართლებელი საბუთი მოგვეყვანა, რადგან თვითონ მოვთხოვეთ ის. ახლა ვკითხავთ ბ. ზდანოვიჩის მომხრეებს, რომლებსაც ასე უყვართ „ხელის ჩამორთმევით" ბრძოლა, ართმევენ თუ არა ისენი ხელს ამის შემდეგ ბ. ზდანოვიჩს?

წინადადებას ვაძლევთ „ცნობის ფურცელს" გამოთქვას ამ „ინციდენტზე" თავის აზრი.

* * *

„შინ და გარეთ"-ის ავტორი მის აზრების გადამახინჯებას გვწამებს. ჩვენ „კვალზე" ადრე მოვითხოვეთ ქართულ რეპერტუარის განახლება ევროპის დრამატიული ლიტერატურით, და ყვირილელი ისე გვიამბობს საქმეს, თითქო ჩვენ შორის სადავო კითხვა რეპერტუარი ყოფილიყოსო; „კვალის" „შინაურ მიმომხილველს" მე არ დავეთანხმე მასში, რომ ის ეროვნულ ხელოვნების ნაცვლათ ეროვნულ თეატრს უარყოფდაო, ყვირილელმა კი ისე გამოიყვანა, თითქო მე „ისტორიულ" პიესებს გამოვესარჩლეო.

ბ. განს რომ უფრო ყურადღებით წაეკითხა ჩვენი წერილი, ის ამ საყვედურებით აღარ მოგვმართავდა. ის დაინახავდა, რომ ჩვენ ძველ რეპერტუარის გამოსარჩლებას კი არა, ორ სკამს შუა ჯდომას ვუკიჟინებდით „ცნობის ფურცელს". და ჩვენ მზათა ვართ ხელმეორეთ დავამტკიცოთ ეს. მზათა ვართ ავხსნათ ისიც, თუ რათ დაგვჭირდა „ცნობის ფურცლისთვის" „თანამედროვე თეატრზე ლექციის წაკითხვა", როგორც დაგვცინის ბ. განი. „კვალის" № 28-ში გამოთქმული იყო აზრი, რომ არ უნდა არსებობდეს არც ქართული, არც რუსული, არც ფრანგული თეატრი, როგორც არ არსებობს ქართული, რუსული და ფრანგული მეცნიერება. ამ სიტყვებს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ, ჩვენის აზრით, დღეს ჩვენს ცხოვრებაში სწორეთ ისეთი მთავარი ძალა მოქმედობს, როგორც სხვა ყველა დაწინაურებულ ქვეყანაში, და მაშასადამე ჩვენი თეატრი, ეს ჩვენი ცხოვრების გამომსახველი სარკე, უნდა სხვა ქვეყნების თეატრს დაემსგავსოს; რომ ამ საკაცობრიო იდეალებისთვის მებრძოლ დასის გაჩენამ ჩვენს ცხოვრებაში უნდა ჩვენს თეატრსაც საკაცობრიო ელფერი დასდოს. „ცნობის ფურცელმა" „შინაურ მიმომხილველის" სიტყვებს „აზრების არევ დარევა" უწოდა. ბ. განი დღესაც ამას იმეორებს, და ამბობს, შინაურ მიმომხილველს უნდა ეთქვა, რომ ხელოვნება არის საერთო საკაცობრიო და არა თეატრიო. მაგრამ, ბ. განო, ზემოთ აღნიშნული აზრი იმ სიტყვებით უკეთ იხატება, რომელიც „კვალმა" იხმარა, ვიდრე მაგ თქვენი სიტყვებით. თუ ეს ასე არაა, დაგვიმტკიცეთ სიტყვათა ხმარების უხერხულობა, და აზრების „არევ დარევას" კი თავი დაანებეთ. თქვენ ეს არ გითქვამთ, თქვენ სწორეთ აზრების არევდარევა გვიკიჟინეთ და იძულებული გაგვხადეთ წაგვეკითხა ის ლექცია, რომელშიაც თქვენ „არ საჭიროებდით".

მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს „ლექცია“ არც ისე მეტი იყო თქვენთვის, როგორც თქვენ გგონიათ, და ეს, გიმეორებთ, არა იმიტომ, რომ თქვენ „ისტორიულ“ რეპერტუარს იცავდეთ, არამედ იმიტომ, რომ მთავარ პრინციპიალურ კითხვაში, რომლის კერძო შედეგს წარმოადგენს ჩვენი შეხედულობა თეატრზე, **თქვენ ორ სკამს შუა ზიხართ.** ჩვენ გეუბნებოდით და გეუბნებით—წარსულში ხალხის ცხოვრება ძირიან ფესვიანათ ბატონყმობაზე იყო აგებული, ხალხის უმრავლესობას არც ერთხელ წელი არ გაუმართნია წარსულშითქო. თქვენ ამას არ უარ ჰყოფთ. ჩვენ გეუბნებით, მაშასადამე, ხალხის ხახელით უარვყოთ ეს წარსული და ‘ომავლისაკენ გავიხედოთ თქო. თქვენ არ გვეთანხმებით; რატომ? იმიტომ, რომ „წარსულშიაც ხალხი მისთვის იბრძოდა, რაც საუკეთესოთ მიაჩნდა მაშინო“,გვეუბნებით. კარგი, მაგრამ ნახა თუ არა ხალხმა ამ „საუკეთესოში“ შველა მონობისაგან? არა ხომ? მაშ იმიტომ უნდა გვიყვარდეს წარსული, რომ მან ხალხი მოტყუებული დატოვა?—მაგრამ, გვეუბნებით თქვენ, ეს წარსული რომ არ ყოფილიყო, არც ჩვენ ვიქნებოდით და არც ეხლანდელი ჩვენი ბრძოლა იქნებოდა საუკეთესო მომავლისთვის. კარგი, ბატონო, მაგრამ მონობა თუ აუცილებელი საფეხურია კაცობრიობის განვითარებაში, განა ეს მონობის უარყოფას უნდა გვიშლიდეს?

ბ. განს კიდევ აქვს ერთი უკანასკნელი საბუთი. თუ თქვენი აზრით ვიხელმძღვანელებთ,—გვეუბნება ის,—„მაშინ თვით განათლებულ ევროპის წარსულიც უნდა დავგმოთ, რადგან ხალხის უმრავლესობა იქაც იტანჯებოდა და იტანჯება ხან ფეოდალიზმის, ხან აბსოლიუტიზმის და ხან ბურჟუაზიის მძიმე უღელ ქვეშ“-ო. მაშ არ იცოდით, ბ. განო, რომ მთელი ეს ცხოვრება დასაგმობია და დიდი ხანი დაგმობილიც არის ევროპის მოწინავე კლასებისაგან? მართალია, დღეს ევროპის „უკიდურეს მოაზრესაგან“ იშვიათათ გაიგონებთ, ჭირივით მეჯავრება წარსულიო, მაგრამ ეს იმიტომ მხოლოთ, რომ მას **წარსულთან** ბრძოლა აღარ სჭირდება. ფეოდალიზმმა და აბსოლიუტიზმმა იქ დიდი ხანია დაკარგეს თავისი ძალა; პიროვნების იურიდიულათ შევიწროვება, პირადი დამოკიდებულება ადამიანის ადამიანისაგან იქ აღარ არსებობს. „უკიდურესი ევროპიელი“ ახლა მხოლოთ „აწყოს“ ებრძვის,—ბურჟუაზიის ბატონობას, ეკონომიურ უთანასწორობას, და მხოლოთ „აწყოს“ წყევლის. **„Спящій въ гробѣ, мирно спи“**-ო, შეუძლია მას უთხრას „წარსულს“, რადგან ეს წარსული ვეღარ უხუთავს მის ხალხს გრძნობას და გონებას,—მაშინ როდესაც ჩვენში... მაგრამ კმარა, ბ. განო... გამოტყდით, რომ არც ერთი თქვენი საბუთი ჩვენს შეხედულებას არ აღღვევს, და ჩვენ შეგვიძლია წამოგიყენოთ ალტერნატივა, რომლსაც თქვენ „სუზდალურ შეხედულობას“ უწოდებთ: ან უარყავით მთელი ის წარსული, რომელიც თავიდან ბოლომდე ბატონყმურ ურთიერთობაზე იყო აგებული, ან უარყავით ის მომავალი, რომელიც ერთიანათ ეწინააღმდეგება ძველ ცხოვრების პრინციპს. და თუ თქვენ არც ერთი, არც მეორე არ აირჩიეთ, ნუ გაგვიჯავრდებით, თუ თქვენი შეხედულობა საკუთარის სახელით მოვნათლეთ და „ორჭოფა აზროვნობა“ დავარქვით მას.

ყვირილელი.

---

## ჰერბერტ სპენსერი

† 25 ნოემბერს, 1903 წ.

ამ დღეებში გარდაიცვალა ინგლისის და მთელი მსოფლიოს უშესანიშნავესი ფილოსოფოსი ჰერბერტ სპენსერი. მხცოვანი მოხუცი 83 წლის იყო, მაგრამ უკანასკნელ სულის ამოსვლამდე, მიუხედავათ სუსტი აგებულებისა, არ გაუგდია ხელიდან კალამი, მთელი თავისი ცხოვრება ფილოსოფიურ მუშაობას შესწირა და ქვეყანა შესანიშნავი ნაშრომებით გაამდიდრა. დაიბადა სპენსერი 1820 წ. ქ. დებრაში. მამა მისი პედაგოგი იყო და პატარა სპენსერი იმ თავიდანვე თვით მოქმედებას შეაჩვია. შკოლის რუტინა მის თავისუფალ ბუნებას ვერ აკმაყოფილებდა და მან მალე მიანება შკოლას თავი. სამაგიეროთ მას შინ ყავდა ხელმძღვანელი, ბიძა ტომასი, რომელიც ერთი მონაწილეთაგანი იყო მეორმოცე წლებში ჩარტისტების მოძრაობისა ინგლისში. მის გავლენის ქვეშ აღზრდილი სპენსერი მუდამ ყურადღებით ეპყრობოდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ამ უკანასკნელ დროში, როცა ბაჟების საკითხმა ასეთი გამწვავებული ხასიათი მიიღო, 83 წლის მოხუცმა მიატოვა თავისი მყუდრო კაბინეტი, უკუაგდო ფილოსოფიური სიმშვიდე და გაცხარებული ჩაერია პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც მომხრე ადამიანის სრული თავისუფლების, ის წინააღმდეგია სახელმწიფოს ჩარევის კერძო ადამიანის, გინდ მთელი საზოგადოების ცხოვრებაში. ეს ჩარევა, მისი აზრით, მხოლოდ თავისუფლების გადაქცევაა, დამცირებაა; ამით სახელმწიფო ზღუდავს და კვეცს პიროვნების თავისუფლებას, მონობის უღელს ადგამს მას, თავის აპეკას ახვევს თავზე. პიროვნება კი თავისუფალი უნდა იყვეს, თავის ფეხით დადიოდეს, თავის გონებით უნდა მიუძღოდეს თავის ცხოვრებას. როცა სახელმწიფო ჩაერევა მრეწველობაში ის სულს უხუთავს ადამიანის თვით-მოქმედებას, ‘ როგორც ასეთი, დასაგმობი და გასაკიცხია. ის გვართმევს იმას, რაც ყველაზე ძვირფასია და გვაძლევს სამაგიეროთ მხოლოდ რამდენიმე პირის ჯიბის გასქელებას. ფულზე ცვლის თავისუფლებას, და განა ღირსი არაა ასეთი მოქმედება გაკიცხვისა! აი ამიტომ სპენსერი სასტიკათ კიცხავს მფარველობით სისტემას. ასეთია მისი საზოგადოებრივი შეხედულება. პიროვნება უნდა თავისუფლათ ვითარდებოდეს და არ იყლაპებოდეს იმ ორგანიზმისაგან, რომელსაც სახელმწიფო წარმოადგენსო; მაგრამ ასეთი მისი შეხედულება არ შეადგენს უმთავრეს ძაფს მის ფილოსოფიურ მოძღვრებისას. პირიქით, ის თითქოს დისსონანსივით ისმის მის ორგანიულ თეორიის შემდეგ, რომელიც მთელ საზოგადოებას ერთ რთულ ორგანიზმათ აღიარებს და პიროვნებას მის შემადგენელ უჯრედათ. საზოგადოება, სახელმწიფო, მისი აზრით, ეს რთული ორგანიზმია, რომლის ყოველი ნაწილი, მთავრობა, ადმინისტრაცია, სხვა და სხვა კლასები,—ერთი მეორესთან მჭიდროთ დაკავშირებულ ორგანოებს წარმოადგენენ, ამ ორგანოთა შეეთებული, ერთმანეთთან შეთანხმებული მოქმედება აუცილებელი მოთხოვნილებაა მთელი ორგანიზმის ცხოვრებისათვის. გონება მბრძანებლობს ‘ განაგებს, გული გრძნობს, ნერვები სხეულის ‘ ყოველ ნაწილებიდან ცნობებს კრებენ, ძარღვებს ყველგან გააქვთ მასაზრდოვებელი მასალა და სხვ. ეს იგივე მთავრობაა, ადმინისტრაციაა, და ვაჭარ-მრეწველნი, ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელნი; ყველა ამათი არსებობა აუცილებელია საზოგადოების ცხოვრებისთვის... ამას არ შეეფერება რასაკვირველია მისი ინდივიდუალისტური საზოგადოებრივი თეორია; მარა სამაგიეროთ ის ლოღიკური დასკვნაა მთელი მისი ფილოსოფიური მოძღვრების, რომელიც გასაკვირველი სისტემატიური სისწორით არის აშენებული. რაში გამოიხატება უმთავრესი ძარღვი ამ ფილოსოფიის? მისი უმთავრესი ძარღვი იმა-

ში მდგომარეობს, რომ მთელი მსოფლიო ცხოვრება, ორგანიული, არა ორგინიული და ზე-ორგინაული (ანუ სოციალური) ექვემდებარება ერთ ძირითად კანონს—ევოლიუციას, განვითარებას. ხოლო ევოლიუცია ნიშნავს იმას, რომ ყოველი აგრეგატი, იქნება ეს ორგანიული, არა ორგანიული, თუ სოციალური—ვითარდება, იზრდება, ნაწილდება, რთულდება და ამით ერთი ნაწილი მეორეს უფრო მტკიცეთ უკავშიდდება, ასე რომ დიფერენციაციას (დანაწილებას) თან ყვება ინტეგრაციაც, (შეკავშირებული შეერთება). წინეთ სრულიად ერთგვარი ნივთიერება, რომლის ყველა ნაწილები ერთი მეორის ყოველმხრივ მზგავსია, თანდათან ძალთა ზედმოქმედებით სხვა და სხვა ფერი, მრავალგვარი ხდება. ამასთანავე მოქმედებს მეორე პროცესსიც. ერთგვარი ნივთიერება, მასსა, ერთი მეორესთან შეკავშირებული არაა, მის ნაწილებს უერთმანეთოთ თავისუფლათ შეუძლიათ განაგრძონ თავის არსებობა. მაგრამ როცა მას დიფერენცია ეხება, ჭ ის მრავალ სახოვან ნივთიერებათ იქცევა, მის ნაწილებს შორის სხვა და სხვა ფუნქციები, მთელ აგრეგატის არსებობისათვის აუცილებლათ საჭირო, ნაწილდება, მაშან ისინიც, ერთი მეორის დაუხმარებლათ ვერ იარსებებენ, მათი ერთმანეთის დახმარება აუცილებელი ხდება და ამით მათ შორის მტკიცე კავშირი მყარდება. მაგრამ ასეთ ევოლიუციას თან ყვება მეორე სრულიად ამის წინააღმდეგი პროცესი.

ყოველი არეგატი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე დარღვევას იწყებს, იშლება და კვდება; ამნაირათ ის რთულ მრავალფეროვან არსებობიდან, ისევ ერთგვაროობაში გადადის. ამას ეწოდება დეზინტეგრაცია (დარღვევა, დაშლა). ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია, ეს ორი მხარე ევოლუციისა ერთი მეორის აუცილებელი შედეგია, ისტორიულ მსვლელობის აუცილებელი ნასკვია. მართლაც, ყოველ წუთს, ყოველ საათს ჩვენ თვალწინ იშლება სიკვდილის სურათი, მარა მის გვერდში ჩნდება ახალი სიცოცხლე, კვდება ერთი ორგანიზმი, იბადება მეორე უფრო რთული. ასეა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კვდება ერთი წყობილება და მის ნანგრევებზე შენდება მეორე, უფრო განვითარებული წყობილება. ასეა კერძო ადამიანის ცხოვრებაშიც, მათი ზნე-ჩვეულება, აზროვნება ამავე კანონს ემორჩილება. ჩვენ ვტოვებთ ერთ შეხედულებას, ვტოვებთ წინანდელ ზნე-ჩვეულებას, ძველ აზროვნებას ჭ ვითვისებ ახალ ზნეს, ჩვეულებას და აზროვნებას. ამნაირათ ევოლიუციას ადგილი აქვს ყოველ სფერაში, ყველგან, მთელ მსოფლიოში. ამიტომ ის მსოფლიო კანონია ჭ სპენსერმაც მიტომ დაუდვა იგი საფუძვლათ მთელ თავის ფილოსოფიას. მან დარვინზე ადრე გამოთქვა ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ორგანიულ ბუნებაში ყოველივე ერთი-მეორის ცვლილებებისაგან იქმნება და ჩნდება, რომ ცხოველთა სამეფოში გვართა და ნათესავთა შორის მხოლოდ შედარებითი განსხვავებაა და რომ ისინი ერთიმეორისაგან არიან განვითარებული. ეს არის მისი უმთავრესი ღირსება. მაგრამ უმთავრესი ძირითადი ნაკლი მისი ფილოსოფიის საფუძველის იმაში მდგომარეობს, რომ ის მხოლოდ უჩვენებს მას, რაც ხდება ქვეყნათ, ის მხოლოდ აღნიშნავს საერთო ფაქტს, განვითარებას მთელ მსოფლიოს ცხოვრებაში, მარა სრულიადაც არ შეიცავს მის ახსნას, განვითარების მიზეზების გამოკვლევას. განსაკუთრებით ეს ნაკლი ემჩნევა მის სოციალურ ნაწარმოებს. სპენსერი აღნიშნავს, რომ ადამიანთა საზოგადოება მუდამ ზრდა-განვითარებაშია, რომ ერთი ფორმა ცხოვრებისა მუდამ იცვლება მეორით, რომელიც ამაზე ბევრათ უფრო რთული და მრავალ-ფეროვანია. მარა რა იწვევს ამ შეცვლას, რატომ ერთი ფორმა ცხოვრებისა იჭერს წინანდელის ადგილს და არა სხვა—ამის შინაგან მიზეზებს ის არ აღნიშნავს, არ იძიებს; მისთვის საკმარისია ისიც, რომ საერთო ფაქტი აღნიშნა. ის ხედავს მხოლოდ ცხოვრების ტრაგიკულ ბილეთს, ვერ ხედავს ამის მამოძრავებელ ძარღვს. აქედან წარმოსდგება ის ყალბი შეხედულება სპენსერის, რომ თანამედროვე წყობილების ძირითადი შეცვლა შეუძლებელია; ცხოვრება მუდამ მრავალფეროვნდება, და გათანასწორება ხომ ამის წინააღმდეგიაო, ის გაერთფეროვნებას ნიშნავს ჭ ამიტომ მისი განხორციელება ცხოვრების უკან დახევა იქნებაო. ეს ყალბი შეხედულება შედეგია, ლოღიკური დაასკვნაა მისი ორგანიული თეორიის სოციოლოგიაში. ეს თეორია კი დიდი ხანია უარყოფილია ყველა სოციოლოგებისაგან, რადგან იგი ჩეტათ თავისუფლათ ხმარობს ამ შემთხვევაში ანალოგიას, შედარებებს, და მათ დამამტკიცებელ საბუთათ ხმარობს მაშინაც კი, როცა ის საგნის მხოლოდ თვალსაჩინოთ დასანახავათ არის გამოსადეგი. ყველა ამის მიუხედავათ მის ფილოსოფიურ შეხედულებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოპოვებული მთელ განათლებულ კაცობრიობაში. და ამ მხცოვანი მოხუცის დაკარგვა მთელ ევროპის ფილოსოფიურ აზროვნობისთვის მეტათ საგრძნობელი დასაკლისია.

არ. რაჟდენიძე.

---

## სხვადასხვა ამბები

როგორც „პრ. კრაი“ იუწყება, 18 ნოემბერს, შუადღის 5 საათსა და 40 წუთზე, ეკატერინოსლავის მახლობლათ, სადგურ დალგინცევოში თოფით მოუკლავთ რკინის გზის 1 ნაწილის მოძრაობის განყოფილების (სლ. ტიაგი) უფროსი ი. ფ. კოტლიაროვი. მკვლელი დამალულა.

---

უწმ. სინოდს აზრადა აქვს მომავალ წლისათვის ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების შესანახ კრედიტს ნახევარი მილიონი მანეთი მოუმატოს. ამ ნაირათ მომავალ წელს მთავრობას სამღვდელოების შენახვა უჯდება 12 მილიონ მანეთათ და სასულიერო სასწავლებლებისა—13 მილიონ მანეთამდე.

---

კიევიდან „ნოვოე ვრემიას“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ სამსახურიდან გადადგენ საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის სამეხანიკო განყოფილების დეკანი პროფესორი ზვორიკინი, რომლის ხელმძღვანელობით მოეწყო შესანიშნავი სამექანიკო სახელოსნო, და პროფესორი ქიმიისა რეფორმატსკი, რომლის მეცადინეობითაც მოეწყო საქიმიო ლაბორატორია.

---

ბ. „მშრომელთაგანი“ გვთხოვს გამოვაცხადოთ: „გაახლებთ 1 მ. 70 კ და გთხოვთ გადასცეთ კავკასიის ბრმათა სამზრუნველო კომიტეტს, ეს ფული გახლავთ ხელზე მოსამსახურეთათვის დატოვებული სხვა-და-სხვა პირთაგან. მაგრამ მოსამსახურეებმა ამ „на чай“ ფულის მიღებაზე უარი განაცხადეს“. ფული გაეგზავნა დანიშნულებისამებრ.

---

თბილისის საქარხნო ინსპექციას მოლაპარაკება აქვს კარხნისა და ფაბრიკის პატრონებთან მუშებისათვის სამკურნალო საქმის მოწყობის შესახებ. საქარხნო ინსპექციას ტფილისში ექვემდებარება 4,500 მუშა. ინსპექცია ფიქრობს მათ ხარჯზე მუშათათვის საავადმყოფოს დაარსება, სადაც 45 საწოლი იქნება და რომლის მოწყობა 40,000 მ. დაჯდება.

---

მთავარმართებელს ნება ეძლევა ხუთის წლის ვადით საავალდებულო-სასანიტარო დადგენილება გამოსცეს ქ. ბათუმისთვის.

უკვე შეუდგენ ერევან-ჯულფის რკინის გზის გაყვანას. ამ ახალ შტოს სიგრძე 170 ვერსი ექნება. გზის გაყვანა დაჯდება 13,600,000 მანეთი.

## კორესპონდენციები

**ბათუმი.** 17 ნოემბერს შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა. სხვა საქმეებ შორის დანიშნული იყო ორი საყურადღებო საქმე. ერთი შეეხებოდა გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელიარიის გადმოტანას ფოთიდან ბათომში და მეორე ქალაქის საავადმყოფოს. დეკანოზს მამა ვოსტროგოვს განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რომ უკეთუ ქალაქის თვით-მართველობა შესაფერ შენობას დაუთმობს საეპარქიო კანცელარიას, იმ შემთხვევაში გურია-სამეგრელოს კათედრა ბათომში იქნება გადმოტანილი, თუ არა და ისევე ფოთში დარჩებაო. ქალაქის გამგეობამ საჭიროთ სცნო ეპისკოპოსის თავის ქალაქში ყოლა და ამიტომ ვოსტროგოვის მოთხოვნილების დაკმაყოფილება; ამისათვის გამგეობა ითხოვს საბჭოს სანქციას, რომ ყოველწლივ, სანამ ქალაქი საკუთარ შენობას ააგებდეს, გადაიდოს საეპარქიო კანცელიარიისა და მღვდელ-მთავრის ბინის დასაქირავებლათ ორას-ორასი თუმანი და ეს თანხა მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში იქნეს შეტანილიო. საბჭომ ერთხმათ მიიღო გამგეობის წინადადება.

სულ ერთი წელი შესრულდა, რაც ქალაქის საავადმყოფომ დაიწყო მოქმედება. ამ საავადმყოფოს აშენება და მოწყობა ქალაქს 225,000 მან. დაუჯდა. სულ ცოტა რომ ვთქვათ, ორ-სამ წელიწადს კაპიტალური რემონტი არ უნდა დაჭირვებოდა, მარა არ გასულა ოთხი თვე დღიდან გახსნისა, რომ საამშენებლო კომისიამ დაათვალიერა საავათმყოფოს შენობა და მეტის-მეტ უნუგეშო მდგომარეობაში ნახა და საჭიროთ სცნო, ყველა შენობებში, სადაც ავადმყოფები არიან მოთავსებულნი, აიყაროს ასფალტის იატაკი და შეიცვალოს ცემენტით, მარმალილოს ვანები შეიცვალოს ემალიან ვანებით, გაფართოვდეს ფეხის-ადგილები და სხვ. მრავალი. შეადგინეს სმეტა და სულ 25 ათასი მანეთი დასჭირდა. მეტი გზა არ იყო, უნდა შედგომოდენ საავათმყოფოს გადაკეთებას და როგორც გამგეობის წევრმა გ. დ. ჟურულმა მოახსენა საბჭოს, 13 ათას მანეთამდი დახარჯულა და სანახევროთ დაუკეთებიათ ის. როგორც იმავე გამგეობის წევრმა აღიარა დღემდი საავადმყოფოში მოსამსახურე პირთ არ ქონიათ ბინა და ხან ერთ თავისუფალ ავადმყოფების საწოლ ოთახში ათავსებდენ მათ და ხან მეორეში. ბ. ჟურულმა მოახსენა ქალაქის საბჭოს, რომ სანამ განსაკუთრებულ შენობას ააგებდეს ქალაქი მოსამსახურეთათვის, საჭიროა ერთ-ერთი შენობა, რომელიც დღეს დღეობით თავისუფალია, გადაკეთდეს მოსამსახურე პირთა საცხოვრებლათ და ამისათვის სთხოვა საბჭოს ექვსი ათასი მანეთის გადადება. კრებამ შეიწყნარა ერთიც და მეორეც. დარბაზი სავსე იყო ხალხით და რადგან საავადმყოფოს ბედ-იღბალი ყველას ეინტერესებოდა. დასრულდა თუ არა საავადმყოფოს შესახებ კითხვა, დარბაზიც დაცარიელდა. ამნაირათ საავადმყოფო უნდა გადაკეთდეს. ნეტა რამდენჯერ დაჭირდება კიდევ გადაკეთებ-გადმოკეთება? მარა ხომ მოგეხსენებათ, უკუღმართათ დაწყებულ საქმეს ბოლოც ასეთი ექნებაო. პირველი შეცდომა იმაში დაუშვეს ქალაქის პატრონებმა, რომ საავადმყოფოს აგება ისეთ მოიჯარადრეს ჩააბარეს, როგორიც არის ბ. ეფრემიდი, რომელსაც არა გაეგება-რა საავადმყოფოსი. მეორეც საავადმყოფო ჭაობიან ადგილზეა აშენებული. უცქერი ამ თხუთმეტიოდე შენობათა გროვას და უნებლიეთ ეკითხები შენ თავს, რა კაცმა ჩაყარა ამოდენა ფული ამ ჭაობებშიო. ქალაქს რომ საკუთარ ადგილზე აეგო საავადმყოფო კიდევ იტყოდი რამეს, მარა როცა შეიტყობ, რომ მან ეს ადგილი კერძო პირისგან შეიძინა, გნცვიფრებაში მოდიხარ. სავსებით ამის [illegible] ბა ყოფილ გამგეობის წევრს გ. ი. ვოლსკის, [illegible] აგოს საზოგადოების წინაშე პასუხი (რასაკვირველია, ზნეობრივი). მარა მას ამ დროს სულ სხვა აწუხებდა: „ოღონდ ამომრჩევლების გული მოვიგო და საზოგადო საქმე მეწყერსაც წაუღიაო“ ფიქრობდა ის. ეხლა საჭიროა, რამდენათაც შეიძლება, გამგეობის წევრი ბ. ჟურული, რომელსაც აბარია საავადმყოფო, გულმოდგინეთ შეუდგეს საქმის გამოკეთებას. მართალია, 30 ათასი მანეთი იზარალა ქალაქმა თავის დაუდევრობით, მარა კვლავ მაინც ეცადონ და ქალაქის ფულებს გაუფრთხილდენ. ჩვენის აზრით, აუცილებლათ საჭიროა პირველათ საავადმყოფოს ახლო-მახლო ჭაობების დაშრობა, მეორეთ ნახმარი წყლისათვის (სარეცხის ნარეცხი, ხელის ნაბანი სხვ.) არხის გათხრა, ან მილით შეერთება ზღვასთან, თორემ დღეს რომ საავადმყოფო ყოფაშია, იმის ასე დატოვება ყოვლად შეუძლებელია, რადგან ეს წყალი საავადმყოფოს გვერდით თხრილში დგება, ლპება და მით სწამლავს ჰაერს. სწორედ ამიტომ არის, რომ საავადმყოფოს მოსამსახურეებში ციებ-ცხელება ხშირი მოვლენაა.

კასიო.

---

**დ. ხონი.** კვირას, 9 ნოემბერს, როგორც იქნა მოხდა ხონის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა არა ჩვეულებრივი კრება. ეს კრება იმდენათ ტიპიური იყო ხონელებისთვის, რომ არ შემიძლია არ ვუძღვნა ორიოდე სიტყვა... კრება „ხონურათ“ მოხდა.

აქ კი მკითხველს მოკლეთ მოვაგონებ წინანდელ მორიგი კრების უკანონოთ ცნობას: იმ კრებას წევრები ბევრი დაესწრო, კითხვები კანონიერათ გადაწყდა... მაგრამ ოქმზე ბევრს წევრთაგანს ხელი მოუწერელი დარჩა. ჩვენში ეს, ჩვენებურ დაუდევრობის გამო ხშირათ ხდება ხოლმე და სწორეთ ამით ისარგებლა გამგეობის თავმჯდომარემ. კრების გადაწყვეტილება მისთვის არაფერი სასიამოვნო იყო (დათხოვნას ემუქრებოდენ, ჯამაგირი 450 მ.—200 მ.-ზე დაუყენეს) და დააწვა ფორმალურათ საქმის დაუსრულებლობას და რჩევას დაადგენინა, მომხდარი კრება უკანონოაო. ამნაირათ მოხდა მორიგი კრების გაუქმება.

როგორც ზევით ვსთქვით 9 ნოემბრის კრება არა ჩვეულებრივი იყო; მაშასადამე, რამდენიც უნდა დასწრებოდა კრებას წევრი, ის მაინც კანონიერი იქნებოდა, და სწორეთ ამით ისარგებლა „მოხერხებულმა“ მმართველმა. როგორ?

ჯერ ერთი, რომ ზოგმა წევრთაგანმა ძალიან გაიოცა, როდესაც გაიგო კრება მოხდაო, ჩვენ არ გაგვიგიაო. და თუ ეს მართალია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, კრებაზე უმეტესათ „თავისიანები“ იყო მოწვეული; რა თქმა უნდა გარდა ორისამისა, რომლების გამოტოვება, კარგათ იცოდა ბ. მმართველმა, ადვილათ არ შერჩებოდა. მეორე ის, რომ უწყებაში იყო ნათქვამი, კრება ორკლასიან შკოლაში იქნებაო და მოხდა კი სამოქალაქო შკოლაში. ამასთანავე შკოლაში შესავალი კარები დაკეტილი იყო. საღამოს წევრები, რომლებმაც ვერ მიაგნეს კრებას, ამბობდენ: მივედით ორკლასიან შკოლაში—არავინ არ დაგვხვდა, წავედით სამოქალაქო შკოლაში—შესავალი კარები დაკეტილი იყო; როგორ ვიფიქრებდით თუ უკანა ოთახში კრება იყო; წავედით სასამართლოში—იქაც არავინ... ვსთქვით, ნამდვილათ გადუდვიათო და წავედით სახლშიო.

ეს გარემოება ძალაუნებურათ კაცს აფიქრებინებს, ამ გვარათ საქმის მოწყობა განგებ მოხერხებული იყო, რომ კრე-

ზაზე მათთვის არასასიამოვნო ელემენტი არ მოსულიყო. ამ გვარ გარემოებაში დაიწყო კრება.

არა ჩვეულებრივი კრების მოწვევის მიზეზათ გამგეობის თავმჯდომარემ დაასახელა წესდების §§ 111 და 112. ვ. მდივანი: როგორც ჩანს ამ მუხლებიდან, არა ჩვეულებრივი კრების მოწვევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრების დადგენილება ეწინააღმდეგება არსებულ წესდებას. აბა მიმითითეთ, რომელი დადგენილება იყო უკანონო ან და წინააღმდეგი ჩვენი წესდების, რომ ამ მუხლით თქვენ ისარგებლოთ. მეორე 112-ტი. მუხლი ეხება ოქმის შედგენას და თხოულობს, რომ ოქმზე ხელს აწერდენ კრების თავმჯდომარე, გამგეობის წევრები, რჩევის დამსწრე წევრები, წერის მცოდნენი, მხოლოდ უწერილოთათვის უნდა შედგენილ იქნას განსაკუთრებული სია. ეს მუხლი ჩემის აზრით სრულებითაც არ თხოულობს, რომ, ვინც კი წერა იცის, ყველამ აუცილებლათ მოაწეროს ხელი. ამას წესდება სავალდებულოთ რომ გვიდგენდეს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა კრების მოხდენა, მისთვის რომ უთანხმო წევრი თავის პარტიით ნებით არ მოაწერს ოქმზე ხელს და ძალით კი ვის შეუძლიან მოაწერინოს. ასე რომ ჩემის აზრით არავითარი უფლება არ აქვს ამ კრებას წინანდელი კრების რომელიმე დადგენილება დაარღვიოს.

კრების თავმჯდომარე ბრძნულათ უპასუხებს, რომ საზოგადოება შეკრებილია, კრება გახსნილიაო, მაშ რა ვქნათ, თუ არ განვიხილეთ კითხვები, სახლში ხომ ვერ წავალთო, ასე რომ ეს კითხვა საკმაოთ გამორკვეულია, შევუდგეთ კითხვების განხილვასო. და ამით გაათავა ამ კითხვაზე ლაპარაკი.

თვით კრებაზე განსახილველ კითხვებს არ შევეხები. ისინი სისწრაფით წყდებოდა ბ. მმართველის სასიამოვნოთ; კრებას ძალიან თანხმობა და ერთგულობა ემჩნეოდა ბ. მმართველისადმი. ორიოდე ოპოზიციონერებს არც კრება და არც თავმჯდომარე თითქმის ხმის ამოღების ნებასაც არ აძლევდენ. ზოგი წევრი, „ხონური“ მოქმედების მოტრფიალე და თაყვანის მცემელი, დაცინვით ამბობდა: „აქ ბევრ ლაპარაკს თავი დაგვანებეთ, გვინდა საქმეს მალე მოვრჩეთ, მერმე კი რამდენიც გინდათ, იყბედეთო“.

როცა გადაწყდა უკანასკნელი კითხვა, ერთმა ოპოზიციონერთაგანმა ვ. მდივანმა სთხოვა თავმჯდომარეს კრებისთვის ერთი წინადადების მიცემის ნებართვა, მაგრამ არც ბ. თავმჯდომარემ მისცა ნება და ბ. მმართველის მეგობრებმაც იგრიალეს (უთუოდ იფიქრეს, ხარჯთ-აღრიცხვაზე იტყვის რამესო. ხარჯთ-აღრიცხვა არ იყო შეტანილი სიაში, მაშასადამე სამმართველოს წევრნი დარჩენ წინანდელ ჯამაგირებში) და მიაშურეს ოქმს ხელის მოსაწერათ.

მაგრამ ეს არც გასაკვირველია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რა პირობებში მოხდა კრება. გულუბრყვილო ადამიანი იფიქრებს ბ. მმართველს ამის შემდეგ საზოგადოება ცუდი თვალით დაუწყებს ცქერასაო... მაგრამ ცდება. აქ ხონია და ყველაფერი ხონურათ ხდება. პირიქით, იმას პატივისცემა მოემატება საზოგადოების თვალში, რომ აგრე მოხერხებულათ „გააცურა“... აქ საქებური მხოლოდ „მოხერხებული მოღვაწეა“.

სირიუსი.

# რ უ ს ე თ ი

არა პირდაპირი გადასახადი და ლიხვიცის სამეურნეო კომიტეტის დადგენილება.—მუშების უზრუნველ ყოფა და ხარკოვის მთა-მადნის მრეწველნი.—სახალხო სახლი, როგორც სახელით, ისე სახრავით —საარჩევნო აგიტაცია პეტერბურგში.

არა ნაკლები საყურადღებო საკითხია გადასახადების საკითხი რუსეთში. გადასახადს იხდი მაშინ, როცა მთავრობის კაცი მოდის შენთან და მიაქვს შენს უძრავ-მოძრავ ქონებაზე შეწერილი ფული. გადასახადს იხდი მაშინ, როცა გგონია რომ არაფერს არ იხდი. პირველ შემთხვევაში [illegible]ადი და აშკარაა: აქ ხედავ პირდაპირ რა გაქვს, [illegible] რა მიაქვთ, და თუ ვინმე უკანონოთ გექცევა და იმდენს იხდი, რამდენიც არ უნდა გადიხადო, შეგიძლია წინააღმდეგობა გაუწიო, უჩივლო, უკმაყოფილება გამოაცხადო და დასაჯო კიდეც... და თუ კანონიერს გახდევინებენ, შენც ურიგდები ამგვარ გარემოებას და ასე ფიქრობ: რა ვუყოთ, ამდენი შემოსავალი მაქვს წლიურათ და ცოტა სხვასაც ერგოს, მარტო ჩემთვის ხომ არ არის კანონი დაწერილიო. სულ სხვა ხასიათის და სხვა თვისებისაა დაფარული, საიდუმლო გადასახადი. აქ ვერ ხედავ, რა დროს იხდი ამ გადასახადს, ვერ ამჩნევ, საიდან მიაქვთ და საით მიაქვს ასეთი გადასახადი. საქმეც ეგ არის, რომ ვერ ამჩნევ და ვერ ხედავ, თუ რა გვარათ ხდება ყველაფერი ეს. მთელი ამ გადასახადების ძალა და ძლიერება მხოლოთ ამ შენ შეუგნებლობასა და მიუხვდენლობაში გამოიხატება. მიხვდი, გაცნობიერდი, გაიგე და მოისპობა ეს საიდუმლოებით მოცული მოვლენაც. აბა დავუკვირდეთ რას წარმოადგენს იგი.

სახელმწიფოს მართალია ბევრი შემოსავალი აქვს, მაგრამ გასავალიც ბევრი აქვს სამაგიეროთ. სასწავლებლები, აუარებელი ჯარი და პოლიცია, სასამართლოები, ჟანდარმთა სამმართველოები და სხ. ყველა ამ შემოსავლით უნდა შეინახოს. შემოსავალს კი კრეფენ გადასახადის სახით სოფლებიდან, ქალაქებიდან, უძრავ და მოძრავ ქონებიდან. ამ გადასახადს კრეფენ იმათგან, ვისაც რამე გააჩნია და აბადია. ვისაც არაფერი გააჩნია, იმაზე რჩება გადასახადი გადუხდელი, რასაც ნედოიმკას უწოდებენ. ამ უკანასკნელ დროს ნედოიმკები ძლიერ გადიდდენ მეტადრე სოფლებში, რაიც იმის მომასწავებელია, რომ ხალხი გაღარიბებულია და დაცემული. წინეთ რომ იხდიდა, იმდენს ახლა ველარ იხდის და სახელმწიფოს შემოსავალიც კლებულობს. გასავალი კი მუდამ დღე მატულობს... მთავრობა ახდევინებს გადასახადს იმათ, ვისაც აქვს. ეს კანონიერია, სამართლიანია...ის ახდევინებს გადასახადს იმათაც კი, ვისაც არაფერი გააჩნია და არაფერი აბადია. ეს კი უკანონოა, უსამართლოა. თუ არაფერი გააჩნია, რაღას გადაახდევინებს? იქნება თქვას ვინმემ. აბა ვნახოთ, თუ არ ახდევინებს. მთავრობის კაცს ყველგან კარი ღია ხვდება, ის მიდის ფაბრიკაში, ქარხანაში და სხვაგან და გადასახადს ადებს ყველაფერს: სპიჩკას, თუთუნს, პაპიროსს, მარილს, ნავთს, პურს, ღვინოს, არაყს და სხვა აუცილებელ საჭირო ნივთებს. აქ ფაბრიკის, ან ქარხნის პატრონი არაფერს ზარალობს...მას, ერთი პაჭკა თუთუნი ორშაურათ რომ გაყიდოს, ყოველგვარ ხარჯებს გაუსტუმრებს და კიდევ მოსაგები დარჩება. მთავრობის კაცი ეუბნება: ეს ორშაურიანი პაჭკა თუთუნი თექვსმეტ კაპეიკათ უნდა გაიყიდოს, ორი შაური შენ და ექვსი კაპეიკი მეო. და რამდენი პაჭკაც გაიყიდება მთელი წლის განმავლობაში იმდენი ექვსი კაპეიკი ხაზინაში შედის. ასე ხდება სპიჩკის, ნავთის, შაქრის, მარილის და სხვის შესახებაც. ვის არ გაუგონია, ის ხელის ხელ საგოგმანებელი სიტყვები, რომ რუსეთში დამზადებულ შაქრით ინგლისში ღორებს ასუქებენო! ეს იმისთვის რომ რუსეთიდან წაღებული შაქარი იქ ექვსი კაპეიკი ღირს გირვანქა, ჩვენში კი ჩვენშივე დამზადებული შაქარი თექვსმეტი კაპიკი! ნავთის წყარო ხომ ბაქოა, მაგრამ ნავთი ბაქოში უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ბაქოდან წაღებული ნავთი ლონდონში—ორი აბაზით ნაკლები ფუთი. ეს იმისთვის რომ წარმოებაში—მთავრობა ჩაერია და ხელოვნურათ ასწია საქონლის ფასი, რომ თავის შემოსავალი გაადიდოს და გააძლიეროს...

როგორც ხედავთ, მთელი ამგვარი გადასახადი მყიდველს, მხმარებელს აწვება კისერზე. მყიდველთა, ანუ მხმარებელთა დიდი უმრავლესობა მშრომელი ხალხია, რომელიც თავის სიმდიდრით და ქონებით ვერ დაიტრაბახებს. ზოგს სპიჩქის, პაპიროსის ფულიც არ გააჩნია და ამავე დროს ნახევარ კაპეიკიანი სპიჩკა კაპეიკათ უნდა იყიდოს, იმისთვის რომ მაზე ბანდეროლია, დაფარული გადასახადის ბეჭედია დასმული. ორშაურიან პაჭკა თუთუნში იხდი თექვსმეტ კაპეიკს—ექვს კაპეიკს ხაზინის სასარგებლოთ, ნახევარ კაპეიკიან სპიჩკაში—კაპიკს, ნახვარ კაპეიკს ხაზინის სასარგებლოთ. გირვანქა შაქარში იხდი თექვსმეტ კაპეიკს, გირვანქა ნავთში 4 კაპეიკს ორ კაპეიკ ნახევრის ნაცვლათ. აბა რომელი ერთი უნდა ჩამოთვალოს კაცმა: ყოველგან ბანდეროლი, ყოველგან აქციზი. აი ამას ქვია არა პირდაპირი გადასახადი, რომელიც არ ჩანს, მაგრამ მძიმე ტვირთათ კი აწევს ხალხს კისერზე. ახირებულია, მილიონერმაც კაპეიკათ იყიდოს ერთი კოლოფი სპიჩკა და უბრალო ღატაკ სოფლის ტეტიამაც, მილიონერმაც ნახევარი კაპეიკი ხაზინის სასარგებლოთ უნდა გადიხადოს და მუშამაც, რომელსაც, ვინ იცის, იქნება კაპეიკის მეტიც არც კი ქონდეს ჯიბეში. ესეც რომ არ იყოს, პირველი უნავთოთაც და უსპიჩკოთაც იოლათ წავა—ელექტრონის ლამპით გააბრჭყვიალებს თავის გარშემო ყველაფერს. არც ერთ პირდაპირ გადასახადში ხალხი იმდენს არ იხდის, რამდენსაც არა პირდაპირ გადასახადებში...ლიხვიცის სასოფლო-სამეურნეო კომიტეტმა ეს დაადგინა: იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე რომ ერობაში შემოღებულ იქნას შემოსავლის კვალობაზე გადასახადების გაწერაო. შემოსავლის კვალობაზე გადასახადის გაწესრიგება ნიშნავს არა პირდაპირი გადასახადების მოსპოპას. არა პირდაპირი და დაფარული გადასახადების გაუქმება ეს მთელი საერთო კითხვაა რუსეთში და არა რომელიმე კუთხის, თუ გინდ ეს კუთხე ლიხვიცი იყოს...

* *

თუ ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სახელოსნოებში აუტანელ პირობებში უხდებათ მუშებს მუშაობა; თუ აქაც არის შემთხვევითი სიკვდილი, დასახიჩრება, დაზიანება, ფეხის და ხელის მოტეხა და სხვა ამისთანები. რაღა უნდა ითქვას მაშინ ქვა-მადნებში, და მაღაროებში მომუშავეთა შესახებ! ფაბრიკებსა და ქარხნებში მაშინებთან გაქვს საქმე. აქ დახელოვნებულმა მუშამ, შეიძლება, თუმცა იშვიათათ, მაგრამ მაინც აიცდინოს მოსალოდნელი განსაცდელი. მაღაროებში, ქვამადნებში კი პირდაპირ სტიქიონურ პირობებთან გიხდება მუშაობა. არ იცი, რა დროს და სად რომელი კლდე ჩამოწვება, რომელი ქვა ჩამოინგრევა და ქეშ მოყვები. და ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ასეთს სტიქიონს ასობით მუშა უმსხვერპლია და შეუწირავს. შეიძლება აიცდინოს კაცმა ასეთი შემთხვევები, ან შეამციროს მათი რიცხვი, გაამაგროს ის ადგილები, საიდანაც მადანი გამოაქვთ, მაგრამ რისთვის უნდა ქნას ეს ქვა-მადნის პატრონებმა? რისთვის დახარჯონ მეტი, როცა უამისოდაც იოლათ მიდიან—ერთი მუშა თუ გამოიჭყლიტება ქვას ქვეშ, მის ადგილს ორსა და ათს იშოვნის! და ასე ფორმალურათ ჰყავთ ვითომც ინჟენრები, გამოცდილი კაცები, რომლებიც ვითომც თვალ-ყურს ადევნებენ მადნის გამოზიდვას მაღაროებიდან, გზებს და ციცაბო კლდეებს, მაგრამ ყველაფერი ეს თვალის ასახვევათ ხდება. ვინ უნდა მიშველებოდა, ვინ უნდა დახმარებოდა, აუარებელ ობლათ დარჩენილ ცოლ-შვილს, რომლის ქმრებმა, ძმებმა და მამებმა მაღაროებში უდროვოთ დალიეს სული და კერძო პირების გამდიდრებას შესწირეს თავი? ისევ მუშებს, ისევ მაღაროებში დღე და ღამე მომუშავეთ უნდა ეზრუნათ თავის თავზე. ჩვენ არ შეგვიძლიან ასეთ პირობებში მუშაობა, ვაიძულოთ პატრონები გააუმჯობესონ შრომის, წარმოების მოწყობილობა ქვა-მადნებში, რომ ნაკლები მსხვერპლი იყოს და ვინც მოკვდება, ან დასახიჩრდება, იმათ მრეწველთაგან დახმარება მიეცესო. ეს ამბავი მივიდა მთავრობის ყურამდე და ისიც შეუდგა ქვა-მადნის მრეწველთათვის ისეთი სავალდებულო კანონების გამოცემას, რომლებიც უზრუნველ ყოფენ მუშას და მის ოჯახობას უბედურ შემთხვევების დროს. განძრახულია, ასეთი კანონი უნდა გამოიცეს მომავალ წლიდან. ვის უნდა სწყენოდა, ვის უნდა მოხვდენოდა გულში ისრათ ეს ხმა, რომ განსაკუთრებული სავალდებულო კანონი უნდა გამოვიდეს ქვა-მადნის მრეწველთათვისო? ვის და ამ უკანასკნელთ. და აი, ხარკოვის მთა-მადნის მრეწველთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ განძრახული კანონის გამოცემის ვადას ერთი წელიწადი კიდევ მოემატოს, თორემ ჩვენ ვერ შევიძლებთ მოულოდნელი ხარჯების ატანასო. საიდან იქნება ეს მოულოდნელი ხარჯები? იქიდან რომ რომელიმე მუშა მოკვდება და მრეწველმა კი თავის მილიონ შემოსავლიდან სულ მცირედი რამ მკვდარი მუშის სასარგებლოთ უნდა გადიხადოს. მუშებისთვის სიკვდილი და დასახიჩრება არაფერია, ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო კაპიტალისტებისთვის ასი-ორასი მანეთის გადახდა უპატრონოთ დარჩენილ წვრილ ცოლ-შვილის სასარგებლოთ კი არა ჩვეულებრივი, მოულოდნელი ხარჯებია! იყოს მოულოდნელი, ხოლო ასეთ მოულოდნელ ამბებს კიდევ უფრო ბევრს გაიგონებენ შემდეგში.

* *

ბევრს ყვირიან რუსეთში: სახალხო სახლები; სახალხო თეატრები, სახალხო საჩაიები, იაფ-ფასიანი სასადილოები და ვინ იცის, კიდევ რა არა. ყური წაგვაძვრეს ქველ-მოქმედთა პრტყელ-პრტყელ სიტყვებმა, მათმა „მოღვაწეობამ“ და „ხალხისთვის სამსახურმა“. აბა ვნახოთ, რა გვარია ეს სახალხო სახლი. ავიღოთ თუნდაც ჩერეპოვეცის სახალხო სახლი. აი რას ვკითხულობთ მის შესახებ: „ჩერეპოვეცში კარგა ხანია არსებობს სახალხო სახლი. განა მართლა სახალხო სახლია? მასში იმართება წარმოდგენები. ადგილების ფასი კი ორი აბაზიდან ორ მანეთამდეა. აქვს ადგილი ხალხს ამ გვარ წარმოდგენებზე? არა. მასში იმართება საცეკვაო საღამოები და ბალმასკარადები, ფასიანი რასაკვირველია. აქვს ხალხს ადგილი ამ გვარ საღამოებზე? არა. ხშირათ ქილაქში ჩამოდიან სხვა-დასხვა დასები და სახალხო სახლშიაც მართავენ წარმოდგენებს. ადგილების ფასი უფრო ძვირია, ვიდრე ზემოთ აღნიშნული. აქვს ადგილი ხალხს ამ გვარ წარმოდგენებზე? არა. სახალხო სახლთან გაშენებულია მშვენიერი ბაღი, რომელშიაც მთელ ზამთარ-ზაფხულ მუსიკა გრიალებს. ბაღში ადგილობრივი საზოგადოება დასეირნობს; ხოლო თუ ვინმე ცუდათ ჩაცმული მოვიდა, მას დარაჯები ბაღში არ შეუშვებენ. აქვს რამე ადგილი ასეთ ბაღში ხალხს? არა. და ათასჯერ არა. მაშ რაღას ყვირით ბატონებო, რისთვის გაგვაყრუეთ თქვენი მოღვაწეობით. სახელით ხალხის, სახრავათ სხვისი. აი ეს სახალხო სახლები...

* *

პეტერბურგში გაცხარებული მუშაობაა. გაცხარებული კამათია, გაცხარებული აზრების ჯახა-ჯუხია. ყველაფერს ამას ეწოდება საარჩევნო აგიტაცია. ახალმა რეფორმამ ბინის დამქირავებელსაც მისცა უფლება აირჩიოს ხმოსნათ ვინც უნდა და არჩეულ იქნას თითონაც თუ ვინმეს უნდა. „ძველი საბჭოს მომხრენი და ახალი საბჭოს მომხრენი“, აი ორი პარტია დაუპირდაპირდა ერთმანეთს. პირველს უნდა თავის მდგომარეობ, საბჭოში, თუ ძალაქის გამგეობაში შეირჩინოს, განამტკიცოს და ძველებურათ არაფერი აკეთოს, ოღონდ ჯამაგირები კი თავის დროზე მიიღოს. მეორეს უნდა გადააგდოს

ძველი და თითონ გამაგრდეს მის ადგილზე, გეყო რაც გიმოღვაწნია, აწი ჩვენ დაგვითმეთო. აღგენენ პროგრამებს, სწერენ სამოღვაწეო პროექტებს, ამას და ამას გავაკეთებთ, ოღონდ ამირჩიეთ და შეძლება მომეცით ვიმოღვაწო და ვიშრომოვო. ხოლო ხალხი, მშრომელი ხალხი მაინც განზე დგას. ის საარჩევნო აგიტაციებში არ იღებს მონაწილეობას. მას ამის უფლება არა აქვს. მართალია; ბინის დამქირავებელთაც მიეცა უფლება ქალაქის საქმეებში მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ ეს უფლება იმათ მიეცათ, ვინც თავის ბინაში წლიურათ 1200 მანეთს აძლევს სახლის პატრონს. მუშა ხალხს სადა აქვს ამდენი, რომ ბინაში მისცეს ᲥᲛერე ქალაქის თვით-მართველობაში მონაწილეობა მიიღოს. და ამბობენ კი სახალხო განათლება კარგათ უნდა მოვაწყოთ, განაპირა ქუჩები, სადაც მუშა ხალხი ცხოვრობს, კარგათ უნდა მოიკირწყლოს და კარგათ განათდეს, ხალხს კარგი წყალი ეძლეოდეს და მრავალი სხვა...

—

„კვალის № 30 „რუსეთში“ შემდეგი კორექტურული შეცდომაა: პროსტიტუცია.—მისი მიზეზები, ბრბო მასთან... უნდა იყოს: ...ბრძოლა მასთან... ტვერის ერობის კრების დადგენილება და თავის თავის ყოფა. უნდა იყოს: ...თავის თავის უარის ყოფა.

## უცხოეთის ქრონიკა

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები: არჩევნები ნიუიორკის ლორდ-მერისა. ავსტრო-უნგრეთი: ტისსას სამინისტრო. კერბერი და ტისსა. ვენის გაზეთები. ინგლისი: დეკ ჩემბერლენი. ბაჟები. ტორედ-უნიონისტების აზრი. ჩემბერლენი კანადაში. ბალფურის ნახტომი. ლიბერალების კავშირი

ჩვენ ბევრი რამ გვილაპარაკნია ევროპაზე, მარა ამერიკას კი ნაკლებ ვახსენებთ. ეს ქვეყანა სწორეთ ჩვენ პირდაპირ დედამიწის მეორე მხარეზეა და როცა ჩვენში დღეა, იქ მაშინ ბნელა, ხოლო როცა იქ მზე ანათებს, ჩვენში მაშინ ღამეა. მიუხედავათ ამისა იქაც ცხოვრება დუღს და გადმოდის, ცხოვრების კანონები იქაც ისე მოქმედობენ, როგორც აქ, იქაც ისე იბრძვის კაპიტალი და დაქირავებული მშრომელი, იქაც არიან ექსპლუატატორები და დაჩაგრულნი. იქ უფროა გამწვავებული მათ შორის დამოკიდებულება. აი მაგ. როგორი შეხლა-შეჯახება ასტყდა იქ ნიუიორკის ქალაქის ლორდ-მერის არჩევნების გამო. ამ ქალაქში, რომელიც ლონდონს შემდეგ პირველი ქალაქია დედამიწაზე თავის სიდიდით და ვაჭრობით, თავ-მოყრილია ყველა პარტიები შეერთებულ შტატებისა და აქედან აძლევენ ტონს მთელ მხარეს, ასე რომ მათი ბრძოლის შედეგი მთელი მხარისთვის საყურადღებოა. უმთავრესათ ეს ბრძოლა და შეტაკება ორ პარტიას შორის არის გამართული, ერთია ბურჟუაზიულ-რესპუბლიკალური, მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ორივე პარტია ძლიერია. პირველს ახლა ყავს თავისი წარმომადგენელი ს. ლოუ ქალაქის ლორდმერათ, ორი წლის წინეთ კი მეორეს ეჭირა ეს ადგილი. მაშინ მან მეტათ ცუდი მართვა-გამგეობის ნიჭი გამოიჩინა, ქალაქის საქმეები სულ აწეწ-დაწეწა და ამიტომ დამარცხდა. მარა არც ს. ლოუ გამოდგა დიდი კეთილის მყოფელი. ის უდიდესი მილიონერთაგანია და როგორც ასეთი, ყველა კაპიტალისტების და მდიდრების დიდი მოსარჩლე. განსაკუთრებით წვრილ წარმოების ტრესტებმა იპოვეს მასში საუკეთესო დამცველი. ნიუიორკში ბევრ გვარი ტრესტებია: მათ ხელშია ხორცის დუქნები, თუთუნი და სხვა წვრილი სავაჭროები... ტრესტი კი ნიშნავს ხაზეინების შეერთებას საქონლის ფასის ასაწევათ, ბაზარზე კონკურენციის მოსასპობათ და ამით მომხმარ საზოგადოებას ყვლეფავს. საზოგადოებამ ვეღარ გაუძლო მათ გაუბედურებას; წინეთ რომ გირვანქა ხორცი 12 სენტი ღირდა, ახლა ის 20 სენტათ იყიდებოდა. ეს სულ ტრესტის წევრების [illegible] შეერეშე დარჩენილმა ყასბებმა სცადეს საკუთარი [illegible] ცხოვის გაწყობა, მარა ქალაქის მერმა ს. ლოუმ ამის ნება არ მისცა და ამით მთელი საზოგადოება ტრესტების გასაკრეჭათ დააგდო. ამიტომ საზოგადოება, მთელი ქალაქის ინტელიგენცია მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული. კაპიტალის მძიმე უღელმა ყველა შეაწუხა და მის მფარველს დამარცხება მოუტანა, ს. ლოუს სულ 247,622 ხმა ამოუვიდა, მის მოპირდაპირე გელდანს კი 309,491... ამნაირათ გაიმარჯვეს ბურჟუადემოკრატმა. ამ არჩევნებში Ქპარტიათა ბრძოლაში ერთი რამ არის აღსანიშნავი, ამერიკელებს ვერავინ ვერ შეედრება აფიშების და რეკლამების გამოფენაში. ახლაც თავის კანდიდატების გასაყვანათ პარტიებმა დახარჯეს მილიონები: აფიშებით, კანდიდატების სურათებით გაავსეს ყველაფერი, დღით ფურგუნებს დაქონდათ სააგიტაციო ბროშიურები და ხალხს ურიგებდენ, ღამით ელექტრონით განათებული ვაგონები დაქროდენ, რომელზედაც კანდიდატის სახელი იყო ამოჭრილი. ქუჩები, კედლები, ღობეები სულ აფიშებით იყო გატენილი... ერთი სიტყვით, მთელი ქალაქი ქაღალდების გროვას წარმოადგენდა და ყველგან პამფლეტეები, კუპლეტები, კანდიდატის სახელები ეწერა.

* *

ტისსას სამინისტრომ დაიწყო მოქმედება. პირველი მისი სხდომები ბევრათ არ განირჩეოდენ წინანდელი სხდომებიდან. ოპოზიცია შფოთავდა, პირიდან ცეცხლს ყრიდა, ტისსას ლაპარაკს არ აცლიდა და საქმის მსვლელობას აფერხებდა, მარა ბოლოს იგიც მოტყდა, ცოტ-ცოტათ დამშვიდდა და პარლამენტის ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. სამაგიეროთ ახლა ავსტრიისა და უნგრეთის პარლამენტებ შორის ასტყდა კამათი. საქმე აი რაშია. უნგრეთის საპარლამენტო კრიზისმა, როგორც ვიცით უნგრეთს საკუთარი ჯარი მისცა, მის მბრძანებლათ და გამგებლათ მეფესთან ერთათ პარლამენტიც გახდა, ასე რომ ამიერიდან ისინი ერთათ განაგებენ ამ საქმეს. ხოლო ავსტრიის ჯარი იმავე იმპერატორის სრულ გამგებლობაშია და ის, რასაც უნგრეთის პარლამენტი დაადგენს, იმპერატორი ავსტრიის ჯარშიც შამოიღებს, რომ ჯარის ერთიანობა დაიცვას. ეს კი ავსტრიის უმაღლეს სფერებს გულზე ცეცხლათ ედება. სადღაა აქ თანასწოროობა უფლებებში ავსტრიისა და უნგრეთის შორის. ავსტრია იძლევა ჯარის ხარჯის 60 პროცენტს. ხოლო ბრძანებლობს მას უნგრეთი, რომელიც მხოლოდ 34 პროცენტს იღებს ამ საქმისთვის.

**

ავსტრიის პირველი მინისტრი კერბერი, როგორც დამცველი ავსტრიის ინტერესები ვერ შერიგებია უნგრეთის გამარჯვებას და აცხადებს, რომ უნგრეთსა და ავსტრიას თანასწორი უფლებები აქვსო. უპირატესობა და სხვ. ამგვარები სულ მოგონილიაო. რაც უნგრეთს დაუთმო მთავრობამ, იმას არსებითათ არავითარი ცვლილება არ შეაქვს ავსტრო-უნგრეთის დამოკიდებულებაშიო. ამ სიტყვებმა ისევ დააყენა ფეხზე უნგრეთის ოპოზიცია. შეიქნა განგაში, ტისსას მოსთხოვეს პასუხი გაეცა კერბერის ასეთ საქციელისთვის. ტისსამაც პასუხი აგო: ტისსა აცხადებს, რომ უნგრეთს ძალიან კარგათ ესმის ახალი დამოკიდებულება პარლამენტსა და კოროლს შორის, „ცნობილა უცხოელი“ კერბერი ამაზე მსჯელობით ტყუილა იღალავს თავსო. უნგრეთის ხალხი არასოდეს არ დასთმობს იმას, რომ მის საქმეებში ვინმე გარეშე ჩაერიოსო... ასეთი სიტყვისთვის უნგრეთის პარლამენტში დიდი ოვაცია გაუმართეს ტისსას. სამაგიეროთ ვენაში ყველა მის წინააღმდეგ ამხედრდა.

გაზეთები ისე სიტყვას არ მოაბრუნებენ, რომ უნგრეთი არ ახსენონ. უნგრეთის პირველ მინისტრმა შეურაცხყო არა კერბერი, არამედ მთელი ავსტრიაო, გაიძახიან ეს გაზეთები... მას შემდეგ, რაც ტისსა თავის კოლეგა კერბერს „უცხოელს", ეძახის, განა ამის შემდეგ შეიძლება ამ ორი ნაწილის მთლიანობაზე ლაპარაკიო! დროა აშკარათ აღვიაროთ რომ ავსტრო უნგრეთის კავშირს ძირი ეთხრება, რომ ის უკვე არყეულ საფუძველზე დგას და მალე სრულიად უნდა დაირღვეს. რათ გვინდა, რომ ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრებას მუდამ შახამავდეს ასეთი მოვლენებიო: ახლა კი ერთათ ერთი რამ დაგვრჩენია, უარი ვთქვათ ჯარის შესანახ ხარჯებზე, ჩვენ 2 მესამედი რათ უნდა გადვიხადოთ, თუ ჯარი ასე გაყოფილი იქნებაო... ერთი სიტყვით ავსტრო-უნგრეთის კავშირს ნიადაგი ეცლება და ნელ ნელი ირღვევა...

* *

პური, ხორცი, შაქარი, ჩაი, თამბაქო ⅆ სხვა აუცილებელი საჭიროებაა, უამათოთ თავის გამოკვება შეუძლებელია; მარა მდიდრებსა და ღარიბებისათვის მათ ერთი და იგივე მნიშვნელობა არა აქვთ, მდიდრების ბიუჯეტში ამ აუცილებელ მოთხოვნილებებს მეტათ მცირე ადგილი უჭირავთ, მათი შეძლების უდიდესი ნაწილი ფუფუნების საგნებზე იხარჯება. მარა სულ სხვაგვარ მდგომარეობაშია ღარიბი ნაწილი საზოგადოებისა. მისი მთელი ქონება, მთელი ავლადიდება ლუკმა-პურის შეძენას და თავის გამოკვებას უნდება, ამიტომ სიკითხი პურის, ხორცის და სხვა სანოვაგეზე ფასის აწევის შესახებ ყველაზე მეტათ ღარიბ, შეუძლო ხალხს ეხება. ინგლისის პროტექციონისტებიც კარგათ გრძნობენ ამას და ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდენ, რაც შეიძლება მათი გული მოაჯერონ, დაარწმუნონ, რომ პურზე ბაჟების მომატებით მათი ხარჯები არ აიწევს, მათი მდგომარეობა არ გაუვარესდება. ჩემბერლენი, რომელიც კარგა ხანია მინისტრობისაგან გადადგა, ინგლისის ყველა ქალაქებში დადის, სიტყვებს ამბობს, ხალხს არწმუნებს, რომ მთელი ინგლისი განსაცდელშია, რომ ინგლისის წარმოება ეცემა, იღუპება და მთელ ერს მოსპობა მოელის, თუ სახელმწიფომ დახმარება არ აღმოუჩინა და სხვა ქვეყნის მადა გაღვიძებულ კაპიტალისტებისაგან არ დაიფარაო. ამის უმთავრეს საშუალებას კი წარმოადგენს პურზე და სანოვაგეზე ბაჟების დადება. მაშინ ჩვენ ბევრნაირ სიკეთით ავავსებთ ინგლისსო, ირწმუნებიან ჩემბერლენი და მისი კომპანია, მაშინ შეგვეძლება ჩვენ ახალშენებს ბაჟები არ გადავახდევინოთ, უპირატესობა მივცეთ და ამით მათსა და მეტროპოლიას შორის კავშირი და ერთობა განმტკიცდებაო. ამასთანავე ჩვენი მრეწველობა წინ წავა, აყვავდება; გაძლიერებული წარმოება მეტ მუშა ხელს მოითხოვს, მეტი მუშა ხელი მეტ ფასს აიღებს და სანოვაგეშიც მეტი ფულის მიცემა შეეძლება, რადგან მრეწველობის აყვავებას მათი ხელ ფასის მომატებაც მოყვება. ამ ნაირი ბაჟებით ყველა კლასი მოგებული დარჩება და ქვეყანაც ბედნიერებით აივსებაო.

* *

მარა ასე არ ფიქრობს ხალხი, ასე არ აზროვნობენ ლიბერალებიც, რომელაც ღრმათ აქვთ შეთვისებული ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი. ეს უკანასკნელნი ჩემბერლენის წინაალმდეგ აგიტაციას ეწევიან და მიტინგებს მართავენ, რომლებზედაც ბაჟის უარმყოფელ რეზოლიუციებს იღებენ. ტრედ-უნიონების კრებამ ერთ ხმათ აღიარა, რომ ბაჟების მომატება მთელ ხალხს გაჭირვებაში ჩააგდებს, რომ ბაჟები მხოლოდ კაპიტალისტების ჯიბის გასასქელებელი საშვალებაა და ხალხისთვის კი მძიმე ტვირთი, და ამიტომ გადაწყვიტა წინაალმდეგობა გაუწიონ ჩემბერლენის პლანის ასრულებას. ასეთმა რეზოლიუციამ ჩემბერლენს გულზე უჩხვლიტა და მან განაცხადა, რომ ეს კრება ნამდვილი მუშათა წარმომადგენლების კრება კი არ ყოფილა, არამედ აქ თავის აზრი გამოთქვა მხოლოდ სეკრეტარიატის წევრებმაო, ამაზე ტრედ-უნიონების სეკრეტარიატი აცხადებს, რომ ჩემბერლენმა ახლა მეტ-მეტყველების ჭორების გამოგონებაც მიუმატა ფონის გასავალათო, ნამდვილათ კი სეკრეტარიატის შემუშავებული რეზოლიუცია ყველა კავშირებს გაეგზავნა ივლისის დამდეგს და მაშასადამე, სამი თვით წინეთ, (გამოვიდა 15 ენკენისთვეში) და როცა ყველასგან შეუსწორებლივ დამტკიცებული მოუვიდა, მაშინ გამოაქვეყნა—მაშასადამე ეს ყოფილა აზრი ყველა მუშების და არა „ტყვილათ მჯდომი" სეკრეტრი,ტის წევრებისო.

* *

მარა გაცხარებულ ბრძოლაში, ასეთი ინციდენტები ვის შეაჩერებს, რომ ჩემბერლენი შეაჩეროს, ამიტომ ის ისევ განაგრძობს აგიტაციებს, რეჩებს, სცემს ბროშურებს, მთელი საზოგადოებაც კი შეადგინა პროტექციონისტებისა ამ მიზნით. ახლა კიდევ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ინგლისს არ დასჯერებია და ამერიკაში, კანადაში აპირობს წასვლას, რომ იქაური ახალშენები დააჯეროს და თავის პროექტი მიაღებინოს. ლიბერალური პარტიაც ასეთივე ენერგიით ემზადება საომრათ, ბროშიურები, ლექციები, განცხადებები სურათები, კარიკატურები ყველაფერი აქ აგიტაციის საშუალებათ გადაქცეული და ამ მიზანს ემსახურება.

როგორი აზრისაა ბალფურის სამინისტრო პროტექციონიზმის შესახებ, როგორც ვიცით წინეთ მან კატეგორიულათ განაცხადა, რომ ის ფრიტრედერია ⅆ თავისუფლების შეზღუდვას მთელი თავის ძალღონით შეებრძოლება, მას შემდეგ ხანმა გაიარა, სამინისტროს წევრები შეიცვალენ, ბალფურმაც ფერი იცვალა. ძველი შეხედულების ისე უეცრათ ძირიანათ უარყოფა შეუძლებელი იყო სამინისტროს უფროსისათვის. სამაგიეროთ, გონივრულათ საქმის მოწყობ—ნიჭის ნიშანია, ისიც ასე მოიქცა. მართალია ჩემბერლენის ბაჟების პროექტს არ ვემხრობიო, განაცხადა მან, მარა, თუ საჭირო გახდა ნაციონალურ წარმოებას შეღავათი უნდა მივცეთ და დავიფაროთ გარეშე მტრებისგანაო, მარა ისე, რომ არც ხალხი შევაწუხოთ ამის გულისთვისო. ერთი სიტყვით არც წვადი უნდა დაიწვას და არც შამფურიო. ჩემბერლენი ამის გამო ბუკსა და ნაღარას უკრავს, სამინისტრომ ჩემკენ გადმოხარა თავის სასწორი და მალე ჩემ ბანაკში ამოყოფს თავსო, ასეთი ძლიერია ჩემი საბუთებიო...

მარა მეორე მხრით ლიბერალების და ლიბერალ-იმპერიალისტების შეერთებამ ძლიერი კავშირი წამოაყენა მის წინაალმდეგ და საით გადახრის ცხოვრების სასწორს, ამას მომავალი არჩევნები გვიჩვენებენ. უნდა ვიცოდეთ კი, რომ იმედის გადამწყვეტი მარტო მრეწველები და გავლენიანი პირები არ იქნებიან, პირიქით უმთავრესი ძალა თვითონ ხალხია, მდაბიო, მშრომელი ხალხი, რომელთაც მათთან თანაბარი უფლება აქვს სახელმწიფოს ბედ-იღბლის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღების...

## ილიკოს უბედურება

(მოთხრობა ალ. ა—ვისა)

IV

(დასასრული. იხ. „კვალი" № 30 1903 წ.)

როცა იულია დამარხეს, ილიკო დაბრუნდა ქარხანაში.

—ქუდი დაიკარგა, გესმის, ქუდი დაიკარგა, ბეწვიანი წავის ქუდი! ძვირფასიაო, ნემეცი ამბობს, 80 მანეთი ღირსო! აქ ჩვენ იმისთანა ალიაქოთი გვაქვს, რომ საშინელი! ილიკო გაყვითლდა, როგორც მიწა, გონება დაკარგულმა გადახედა მუ-

შებს და შეხედა სხვებს.. მათაც ესეთივე აღელვებული და შეშინებული სახეები ქონდათ, როგორც მას. მოშკა დაწანწალობდა ქარხანაში თავ-ჩაღუნული და როგორც ცივებიანი, კანკალებდა. იმას ეგონა, მას აბრალებდენ. ილიკო მივიდა კუთხეში და გაჩერდა. უეცრათ მოისმა განცვიფრებული ხმა მოშკასი: „ყმაწვილებო, ვინ დაკარგა ეს კვიტანცია ლომბარდის! მოშკას შემოეხვიენ ყველა მუშები.—მაჩვენე აქ!—უყურეთ, უყურეთ, ქუდი...—ბეწვიანი, ბეწვიანი!—ჩვენი ნემეცის ქუდი ხომ არის, ძმებო? ილიკო კედელზე უფრო გათეთრდა და იდგა გაუნძრევლათ. მის გულს ჩხვლეტდა საოცრათ.

— შენ რას დგახარ, ასე მგონია, სასიკვდილოთ ხარ მოზადებული! მკაცრათ დაუყვირა უფროსმა ოსტატმა, შენ ხომ არ ჩაგიდენია ეს საქმე?—ეჰ! რას ჩააცივდი მაგ ბიჭს? ხომ იცი, გუშინ და დამარხა, თავი დაანებე... მკვახეთ უპასუხა მეორემ. ილიკოს თავი დაანებეს, მას კბილები უკანკალებდა, თვალები ცრემლით ქონდა ავსილი. სწორეთ ამ უბედურ წამში მოვიდა შრეიდერი.—რა ყრილობაა აქ? იყვირა მან რისხვით: ზარმაცებო... მე თქვენ დაგაჯარიმებთ! სად არის თქვენი სამუშაო? შრეიდერმა უცბათ გაარჩია თავის გამჭრიახი თვალებით ლურჯი კვიტანცია, გამოგლიჯა ქაღალდი მოშკას ხელიდან, ჩააცქერდა თავის მხეცური თვალებით და დაიყვირა: ააა!.. ახლა მე ყველაფერი მესმის!—ქურდო! პოლიციაში, ახლავე! მუშებს სულ არა გაქვთ სვინდისი!.. სისხლიანი თვალებით ის გაშმაგებული ეძებდა დამნაშავეს. სუყველანი გაჩუმებული იყვენ. ისმოდა ნაწყვეტ ნაწყვეტი სულთქმა ნემეცისა. უეცრათ ის შემოტრიალდა ქუსლებზე, შეარხია ჰაერში კვიტანცია, და გავარდა კარებში. გავიდა რამოდენიმე ხანი, შრეიდერი დაბრუნდა კიდე უფრო გაწითლებული და გაგიჟებული.—აა! ახლა მე გავიგე! ეს ჩაიდინა ბავშვმა, საზიზღარმა ბავშვმა! მე სუყველაფერი გავიგე იქ, სადაც დაგირავებულია ჩემი ქუდი“! ამ ქარხანაში სულ ორი ყმაწვილი მუშაობდა: ილიკო, ყოველთვის მაცადინი, წყნარი, პატიოსანი, სვინიდისიანი, ჭ მოშკა ზნე დაცემული, ქურდი. შრეიდერმა გადახედა აბუტგულ მოშკას და გააქნია თავი.—ეს მოშკას არ უქნია, დარწმუნებით თქვა მან.—ილიკომ? ყოველთვის მაცადინმა ბავშვმა? ნემეცი დაფიქრდა.—რას აკეთებდა მოშკა შაბათს? კითხა მან მუშას. ოსტატს მოაგონდა, რომ შაბათს მარტო ილიკო ალაგებდა ქუდებს. შრეიდერმა ახლა სუყველაფერი გაიგო. მოშკა უკანასკნელ დროს არ დაუჭერიათ ქურდობაში.

— ვერ დავიჯერებ, მართლა ილიკომ! გააგრძელა მან და მრისხანე თვალით გადახედა ბიჭს.—ილიკო, მართლა შენ მოიპარე? გაყვითლებულმა და აკანკალებულმა ილიკომ თავი ძირს ჩაღუნა, და ლოყებზე კურცხალი ცრემლები ჩამოედინა. რა სირცხვილს, რა ქენჯნას და ტკივილს ითმენდა მისი პატარა გული!

— თქვი—თქვი, გააგრძელა ნემეცმა და წაავლო ბავშს ხელი, თუმც ის არ ფიქრობდა გაქცევას. მუშები მოგროვილიყვენ მის ახლოს, სუყველა ერთათ გაფაციცებით მოელოდენ შედეგს.

— ეს მე... ქუდი... ჩაიჩურჩულა ილიკომ და ხმა ჩაუწყდა. იმან ამოიღო ჯიბიდან ორი ათ მანეთიანი და გაუწოდა ხაზეინს. აი ეს ფული... დანარჩენი... ნემეცი ჩაფიქრდა:—დაიჭირეთ! მე ამ საათში... და როგორც მეხი გავარდა კარებში. ატყდა ხმაურობა, სუყველამ დაიწყო ლაპარაკი.—ეხ, საბრალო, მოპარვაც არ ცოდნია, მოუპარავს ეტყობა, გაჭირვებით, შეიძლება საჭმელი არ ქონდა, ჩაილაპარაკა ერთმა მუშამ. ნემეცმა მოიყვანა პოლიცია და ჩააბარა მას მკვდარ-ცოცხალი ილიკო.

V

მომრიგებელ მოსამართლის კამერა გაივსო. სუყველა სკამები დაჭერილი იყო ხალხით. ზოგი ჯდებოდა, ზოგი ადგებოდა და ისევ შამოდიოდა. იქეთ კი, წინ მოსამართლეს დიდი რკინის ჯაჭვით კისერზე და კითხულობს რაღასაც თავ-ჩაღუნული.

— შრეიდერ ვილგემ! მაღლა ყვირის მოსამართლე, აქ არის?—ეგოროვი ანტონ, ეგოროვი ილია, ეგოროვი არის? შუა ოთახიდან გამოვიდა ორი ფიგურა, ერთი მოხრილი ბერიკაცის და მეორე პატარა გამხდარი ბიჭის, ესენი არიან ილიკო და მისი მამა. წინ მოუძღოდა მას ახმახი ნემეცის ფიგურა. ჭკვიანი თვალებით გადახედა მოსამართლემ ამათ. დაიწყეს გამოძიება, და მოწმების გამოძახება. იმათ შორის მოწვეული იყო ლომბარდის მოსამსახურეები. ჩამოართვეს მოწმებს ჩვენება. მოაწია ილიკომდისაც.

— რამდენი წლისაა?—თუთხმეტის უნდა იყოს, ამბობს მამა, თუ თოთხმეტის, არ მახსოვს, თქვენო ბრწყინვალებავ! ანტონის ჩახლეჩილი, ხრინწიანი ხმა კანკალებდა, მუხლებიც უკანკალებდა. ამდენი ხალხის სირცხვილით, ჯავრით ჩაღუნული ქონდა ჭაღარა თავი.—ქურდობაში ყოფილა შენი შნული?—თავის დღეში არა, თქვენო ბრწყინვალებავ, ტირილის ხმით ამბობს ანტონი. მოსამართლე წერს.—შენ ცნობ თავს დამნაშავეთ? და მოსამართლემ მკაცრათ დაუწყო ყურება ილიკოს.

— ვცნობ, ჩაიჩურჩულა ილიკომ და თან ხელით იწმენდდა თვალებს, რომელიც ცრემლებით ქონდა გავსილი. ყველას ეცოდებოდა საწყალი, გამხდარი შვილი და მოხუცი მამა. ბატონო მოსამართლე უეცრათ წარმოსთქვა შრეიდერმა; გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება: ჩემი ქუდი ძალიან ძვირათ ღირს და ბიჭი კი ძალიან ცუდია, ეგ ჩემთან ყოველთვის კარგათ იყო შენახული და სუყველა ჩემთან მყოფი მადლიერი არიან ჩემი. მოსამართლე ყურს არ უგდებდა.—სად წაიღე ფული? კითხა მან ლბილათ ილიკოს—ოცი მანეთი იმას მივეცი, მიათითა შრეიდერს, ხუთი კი სახლში წავიღე.—მამა შენმა იცოდა?..

— არავინ არ იცოდა, არც მამამ და არც დედამ, იმ ხანებში ქალიშვილი მომიკვდა, ყრუთ დაიწყო ანტონმა, და მაშინ მოწყალებას თხოულობდა, როგორც მეზობლებმა მითხრეს, ქუჩაში უნახავთ. და მერე თურმე ცოდვაში გაერია, დავმარხე შვილი მოპარული ფულით თურმე! მოსასართლე აღელდა, კამერაში გაისმა რაღაც ფუჩუნი. კუთხეში ვიღაც ბებერი ქალი ცრემლებს იწმენდდა. მოსამართლემ მეორეჯერ იკითხა ილიკოს წლოვანობა.—შესაძლებელია თოთხმეტის წლისაა, დაუმატა მოსამართლემ, მაგრამ ანტონი თავისას ადგა, თხუთმეტისაო. საზოგადოება აღელდა. იმათ იცოდენ, რომ ეთათ-ერთი საშუალება იყო ილიკოს გადასარჩენათ—მისი წლოვანობა. თუ თოთხმეტის წლის იყო, მაშინ გაათავისუფლებდენ მას, როგორც მცირე წლოვანს, სასჯელიდან. ამას ვერ გრძნობდა მხოლოდ ანტონი და მტკიცეთ ადგა თავისას. ილიკო არაფერს არ მალავდა, არ იმართლებდა თავს, ის მხოლოდ იცავდა ოჯახის პატიოსნებას. ეს სურათი გაგრძელდა დიდხანს. ახლა ტიროდა არა მარტო ერთი ბებერი ქალი, არამედ ბევრი სხვაც. მოსამართლეს სახეზე რაღაცა სასოწარკვეთილება ემჩნეოდა. გამოძიების დროს კარებში შამოიპარა მოშკა და უკანა სკამებთან ამოიმალა. იმას უნდოდა დასწრებოდა ილიკოს გამოძიებაზე და ჩუმათ გამოიპარა ქარხნიდან. მოშკამ გაიგონა უკანასკნელი ილიკოს სიტყვები და რაღაც ახალმა გრძნობამ გაიღვიძა მის გულში. ეშმაკურ სახეზე რაღაც სიბრალული, რაღაც ტანჯვა ემჩნეოდა. მე ცელქი, ქურდი უნდა ვიცინოდე, უნდა ვეშაკობდე და ჩემი ამხანაგი ილიკო წყნარი, მშვიდი და კეთილი უნდა იტანჯებო-

დეს? რამდენჯერ ჩემი გულისთვის შენიშვნა მიუცია ხაზეინს და ახლა ის უნდა გაასამართლონ, უნდა დასაჯონ? მე არ შემიძლია, რომ უშველო, ამბობდა თავის გულში მოშკა, თან წინ იწევდა და ამოუდგა ილიკოს გვერდით. გამოძიება შეწყდა, სუყველანი ჩაფიქრდენ.

— ამ საათში გაასამართლებენ ილიკოს... და სულ ხუთ მანეთისთვის... საწყალი, უბედური, ილიკო!..—უეცრათ წამოდგა მოშკა და წინ წადგა:—ბატონო... მოსამართლე, წარმოსთქვა მან, მე უნდა გითხრათ... ეს... მე... ბატონო... მოსამართლემ თავი აწია და გაკვირვებით შეხედა გამხდარ პატარა ტანის ბიჭს, რომელიც თავიდან ფეხებამდი კანკალებდა.—რა გქვია შენ?—მოშკა შვეზებერგი, ბატონო მოსამართლე, მე ვარ ბატონო... შრეიდერთან შაგირდათ ერთათ ამასთან და მიათითა ილიკოს... ის მე მივეცი მაშინ ქუდი...—დედ-მამა გყავს?—არა ბატონო, მე ბიძასთან ვცხოვრობ.—რა საქმეშია შენი ბიძა?

— ვაჭარია, ბატონო, ძველ საქონელს ყიდის... ის... მე მივეცი, ბატონო, ქუდი ილიკოს, ჩემი ბრალია, მე დამსაჯეთ! ამბობს თავისას მოშკა. მოსამართლემ შენიშნა მოშკას სიტყვებში ტყუილი, როგორც სხვებმაც, შრეიდერი კი დარჩა პირ გაღებული.

— მე ილიკოს ვთხოვე მხოლოდ ეჩვენებია იმ საღამოს ქუდი და მერე კი მე მივეცი დასაგირავებლათ, ვითომც ხაზეინისთვის. ილიკომ დიდრონი შეშინებული თვალებით შეხედა მოშკას.—ტყვილია, ნელა წარმოსთქვა მან, სუყველაფერი ტყვილია, და ისევ ჩაღუნა თავი.—ბატონო მოსამართლე, ილიკო სრულებით თუთხმეტის წლის არ არის მე მითხრა, ბატონო მოსამართლე, დედა მისმა, განაგრძო საჩქაროთ, მოშკამ, მეტრიკა არის შეშლილიო, ბატონო მოსამართლე, ცამეტი წლისაა. მოსამართლეს ნიკაპი აუკანკალდა და ძლივს იკავებდა ცრემლებს. ანტონი კი დაყუდებოდა სკამს ღ სტიროდა. კამერაში უეცრათ გაისმა რამოდენიმე მოკავებული გულ ამოსკვნილი ტირილი. დიდი კამათის შემდეგ ილიკო გაამართლეს და ჩააბარეს მამას ხელში გასასწორებლათ. გამართლების შემდეგ საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა. ორივე ბავშებმა და მამამ ვერ შეიმაგრეს ტირილი.

შეურაცხყოფილი შრეიდერი კი მაშინვე გამოვარდა გარეთ, რადგან გალანძღულათ მიაჩნდა თავის თავი, და გაიპარა ქურდივით. ასე გათავდა ილიკოს ამბავი.

თამარა გოგოლაშვილი.

---

## კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს

(ისტორიული წერილი)

თარგმანი ლ. ქლიავასი

### I

**1889** წელს **17** ივნისს შესრულდა ასი წელი იმ დღიდან, რაც გენერალურ შტატებში არჩეულმა მესამე წოდების დეპუტატებმა ხალხის რევოლიუციონურ მღელვარების ზედგავლენით თავის თავი საერო კრებათ გამოაცხადეს და მით დასაწყისი მისცეს იმ დიად სოციალურ კატასტროფას (ქარტეხილს), რომელსაც ჩვენ საფრანგეთის დიდ რევოლიუციას ვუწოდებთ. ბევრ შედეგს მოელოდენ იმ დროს ამ გარემოებიდან, მაგრამ სინამდვილემ ბევრათ გადააჭარბა ყველა მოლოდინს. მეორე მხრით დიდ რევოლიუციის მოღვაწეთა ბევრი იმედი ცარიელ, განუხორციელებელ ოცნებათ დარჩა.

მართალია წოდებრივი უპირატესობანი გაუქმდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ძმობის და თანასწორობის მეუფება ჯერ კიდევ არ დამყარებულა. იჩინა თავი კლასთა ინტერესების ახალმა წინააღმდეგობამ, რომელიც თან ატარებდა ახალ სოციალურ ბრძოლის და ახალ ცვლილებათა [illegible] სიღარიბე მაინც არ მცირდებოდა, პროლე[illegible]ბოდა და მასთან ერთად მატულობდა მუშა ხალხის გაყვლეფაც. რევოლიუციიდან წარმოშობილი ახალი სახელმწიფო, ახალი საზოგადოება მაინც შორს იდგა როგორც მონტესკიეს, ისე რუსოს იდეალებისაგან. რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობა გაცილებით ძლიერი გამოდგა იდეიურ წარმოდგენებზე.

ისეთ დიდ ისტორიულ მოვლენას, როგორიც რევოლიუციაა, რასაკვირველია იმდენი სხვა და სხვა მხარე აქვს, რომ ყოველ პარტიის და მიმართულების წარმომადგენლებს,—როგორც ისეთებს, ვისთვისაც საჭიროა აღამაღლონ და ქებათა ქება შეასხან მას,—აგრეთვე ისეთებს, ვინც საჭიროთ სთვლის გაკიცხოს და დაგმოს იგი,—ყველას ამათ შეუძლიათ იპოვონ მასში თავის სასარგებლოთ გამოსაყენებელი მომენტები. კიდევ უფრო ადვილათ შეუძლია ისარგებლოს რევოლიუციით პარტიულ მიზნისთვის მას, ვინც „ზნეობრივ“ ნიადაგზე სდგას. ასეთ ისტორიულ ქარტეხილის დროს, როგორიც რევოლიუციაა, ყველა მომქმედ პირის ვნებათა ღელვა უმაღლეს წერტილამდე აღწევს. ყოველ მებრძოლ პარტიაში ჩვენ ვიპოვით გმირობის და თავგანწირულობის შეუდარებელ მაგალითებს. მაგრამ ყოველგან მოიპოება აგრეთვე სისაძაგლის, სიმკაცრის, უხასიათობის და გაუმაძღრობის საშინელი მაგალითებიც. რომ ერთი მხარის სიმპატიური თვისებები წინ წამოაყენო და გაადიდო, და ყველაფერი ცუდი, რაც კი მეორე დასში მოიპოება, მოწინააღმდეგეთ მოახვიო თავს, ეს ძალიან ადვილი ხელობაა. საკვირველია ამ გვარი „ისტორიული ხერხი“, მაგრამ ცოტა მოინახება საფრანგეთის რევოლიუციის ისეთი აღწერა, სადაც ეს „ხერხი“ ნახმარი არ იყოს. და ეს ადვილი გასაგებიცაა. ის მრავალი საზოგადოებრივი წინააღმდეგობა, რომელიც რევოლიუციაში სავსებით გამოიხატა, ჯერ კიდევ არ მოსპობილა სრულებით. და ამავ დროს თვით რევოლიუციამ წამოაყენა და პირველათ აღნიშნა ახალი წინააღმდეგობანი, რომლებიც მას აქეთ კიდევ უფრო მკაფიოთ გამოირკვა და კიდევ უფრო გამწვავდა. თანამედროვე პარტიათა შორის არ მოიპოვება არც ერთი, რომელიც ტრადიციით, თუ თანაგრძნობით, მდგომარეობის, თუ მიზნის მსგავსებით, თავის ნათესაურ კავშირს არ ხედავდეს რევოლიუციისაგან წარმოშობილ ამა თუ იმ საზოგადოებრივ მიმდინარეობასთან და ამიტომ განსაკუთრებულის სიყვარულით არ ეპყრობოდეს თავის მონათესავე მიმდინარეობას და განსაკუთრებულის სიმკაცრით მის მოწინააღმდეგეთ. მიუხედავათ ამისა სწორეთ საფრანგეთის რევოლიუციამ დიდი სამსახური გაუწია ისტორიულ მეცნიერების განვითარებას. მან შესაძლებელი გახადა, როგორც ამ საზოგადოებრივ მოვლენის, ისე სხვების ობიექტიურათ შესწავლა. რევოლიუციამ შეგვაგნებინა, რომ ისტორიულ განვითარების მამოძრავებელ ძალას უნდა ვეძებდეთ არა ადამიანთა სურვილებში, არმედ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომელიც საქონლის წარმოების ხანაში მაინც სრულიად დამოუკიდებელია ადამიანის სურვილებისაგან, მაღლა დგას და კაბატონებულია მათზე. თუმცა დიდ რევოლიუციის მკვლევარნი ცდილობენ მიაწერონ ის ერთის მხრით ფილოსოფოსთა ვოლტერის და რუსოს—ქადაგებას, მეორე მხრით საერო ერების ორატორთა—მირაბოს და რობესპიერის—მჭერმეტყველობას, მაგრამ მაინც არ შეუძლიათ გვერდი აუხვიონ იმ ფაქტს, რომ განხეთქილება, რომელმაც რევოლიუციამდე მიიყვანა საქმე, აღმოსქდა იმ წინააღმდეგობიდან, რომელიც არსებობდა პირველ ორს ღ მესამე წოდების შუა. ისინი ხედავდენ, რომ ეს წინააღმდეგობა

შემთხვევითი ტ მსწრაფლ წარმავალი არ იყო, რომ ის მოქმედებდა 1614 წლის გენერალურ შტატებში და უფრო ადრეც სწორეთ ისე, როგორც 1789 წელს, და რომ ეს წინააღმდეგობა ფაქტორი იყო ისტორიულ განვითარების—მეფის განუსაზღვრელ უფლებათა განმტკიცების. მათ უნდა დაენახათ ბოლოს და ბოლოს, რომ ამ განხეთქილებას ღრმათ ქონდა ფესვები გადგმული ეკონომიურ ურთიერთობაში. რასაკვირველია, კლასთა ბრძოლა რევოლიუციის აღწერებში უმეტეს ნაწილათ გამოყვანილია არა როგორც არსებითი ელემენტი მთელი რევოლიუციის, არამედ როგორც კერძო ეპიზოდი ფილოსოფოსთა, ორატორთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ბრძოლაში, თითქოს ეს უკანასკნელი პირველის შედეგი არ ყოფილიყოს. საჭირო იყო ხანგრძლივი და ძლიერი გონებრივი შრომა, რომ ის, რაც კერძო ეპიზოდათ იყო ცნობილი, ეცნოთ უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ არა მარტო დიდ რევოლიუციაში, არამედ მთელი საზოგადოებრივ განვითარებაშიაც კლასთა ინტერესების წინააღმდეგობის გაჩენის პირველ დღიდან: მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე, რომელსაც საფუძვლათ კლასთა შორის ბრძოლა უდევს, დღესაც ბევრს სადავო საგნათ მიაჩნიათ. მაგრამ ის კი თითქმის ყველასგან მიღებულია, რომ საფრანგეთის რევოლიუცია შედეგი იყო კლასობრივ ბრძოლის პირველ ორსა და მესამე წოდებას შუა: ასეთი შეხედულობა დღეს მარტო სწავლულთა კუთვნილება აღარ არის. ის გავრცელდა და ყველასათვის ხელ მისაწდომი გახდა; განსაკუთრებით შეითვისა ის გერმანიის მუშა ხალხმა. ეს შეხედულება დღეს იმდენათ დაცვას აღარ საჭიროებს თავის მომხრეების მხრივ, რამდენათაც გათახსირებისაგან დაფარვას. ბევრი, ვინც ისტორიულ განვითარებას ხსნის კლასთა ბრძოლით, ფიქრობს ვითომც საზოგადოებაში არსებობდეს მხოლოდ ორი ბანაკი, მხოლოდ ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასი, ორი მტკიცე, განუყოფელი მასსა: რევოლიუციონური და რეაქციონური,—რომ საზოგადოებაში არიან მხოლოთ „მაღლა მდგომნი და დაბლა მდგომნი“. რომ ეს ასე იყოს, მაშინ ისტორიკოსობა ძალიან ადვილი ხელობა იქნებოდა; მაგრამ ნამდვილათ კი საქმე არც ისე ადვილია. საზოგადოება მეტათ რთული ორგანიზმია და რაც უფრო ვითარდება, უფრო და უფრო რთულდება. ის მრავალ სხვა და სხვა კლასთაგან შესდგება მრავალ სხვა და სხვა ინტერესებით, რომლებიც გარემოებათა მიხედვით უახლოვდებიან, ან სცილდებიან ერთმანეთს და სხვა და სხვა კომბინაციებს ქმნიან.

ეს მართალია ჩვენი დროისთვის; ეს მართალია აგრეთვე საფრანგეთის რევოლიუციის დროისთვისაც. ჩვენი სურვილი მოკლეთ თვალის გადავლების იმ საზოგადოებრივ მოვლენათა, რომელიც ჩვენს კითხვას შეეხება, და რომელიც ამ ასი წლის წინათ მოხდა, მარტო იმ ინტერესით არ აიხსნება, რომელსაც რევოლიუცია ბადებს. ეს გათვალისწინება ხელს შეგვიწყობს სინათლეზე გამოვიტანოთ და გამოვარკვიოთ ბევრი თანამედროვე პარტიის პრინციპები. ამ გვარათ ის თანამედროვე ცხოველმყოფელ ინტერესებსაც არ იქნება მოკლებული.

## II

პირველ შეხედვით კაცს ეგონება, რომ საფრანგეთის რევოლიუციის დასაწყისში „რეაქციონერები“ და „რევოლიუციონერები“, „გაბატონებული კლასები“ და „ხალხი“ წარმოადგენდენ მჭიდროთ შეკავშირებულ ჯგუფებს, ცხადათ გარკვეულ მიზნებით და ბრძოლის იარაღებით. მაგრამ ნამდვილათ კი არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. არა თუ მესამე წოდება შეიცავდა სულ სხვა და სხვა მოპირდაპირე ელემენტებს, არამედ პირველი ორი წოდებაც განიყოფებოდა მოწინააღმდეგე ჯგუფებათ, მიუხედავათ იმისა, რომ გარეგნულათ მათში ვითომც თანხმობა იყო; მიუხედავათ იმისა, რომ ამ ჯგუფების წევრთა რიცხვი შედარებით სულ მცირე იყო.*)

თუმცა აზნაურთა და სასულიერო წოდების [illegible] ცხვი ძალიან მცირე იყო, მარა მაინც მხოლოდ [illegible] ლი ამ რიცხვისა, ყოველ შემთხვევაში უმცირესი ნაწილი, ეძლეოდა უსაზღვრო ფუფუნებასა და განცხრომას, მხოლოდ უმცირესი ნაწილი ფლანგავდა და ყრიდა ქონებას მარცხნივ და მარჯვნივ, რაც დამახასიათებელ თვისებას შეადგენს უპირატესობებით აღჭურვილ კლასისას რევოლიუციის წინა ხანებში. მხოლოდ თავად-აზნაურობის და სასულიერო წოდების ზედა ნაწილს, აურაცხელ მიწის მქონებელთ, შეეძლოთ ეცხოვრათ ფუფუნებით, ხელგაშლილ, წასჯიბრებოდენ ერთი-მეორეს თვალწარმტაც სალონების გამართვაში, მდიდარი ნადიმების გადახდაში, საუცხოვო ცხენ-დარბაზების აგება-მოწყობაში. ეს იყო ერთათ ერთი მოედანი, რომელიც დარჩენოდა არისტოკრატიას ერთმანეთთან გასაჯიბრებლათ. იმ სფერაში კი, სადაც საქმის გადამწყვეტელი მნიშვნელობა პირად ღირსებებს ეკუთვნის, არისტოკრატია დიდი ხანია მხოლოდ სიზარმაცეს და უხასიათობას იჩენდა და გაჯიბრებაც არ შეეძლო. ჯიბრი იმაში, ვინ მეტს დახარჯავს და მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, ვის მეტი შემოსავალი აქვს, სწორეთ დამახასიათებელი თვისებაა საქონლის წარმოებისა, რომლის სფერაში რამდენიმეთ უკვე შედგა ფეხი არისტოკრატიამ. მარა მაშინდელი არისტოკრატია ჯერ იმდენათ ვერ შეგუებოდა წარმოების ახალ ფორმას, როგორც მაგალითათ ამას ვხედავთ დღეს. ფულის ფლანგვა იქით-აქეთ მან მალე ისწავლა, მაგრამ თავის შემოსავლის გადიდება მატყლის, პურის, სასმელების და სხვ. ვაჭრობით ისე ხერხიანათ, როგორც დღეს იცის ამ წოდებამ, მაშინდელმა არისტოკრატიამ არ იცოდა, ვერ ახერხებდა. ის ცხოვრობდა, როგორც ფეოდალი, მარტო მამულის შემოსავლით, და კისრამდე ვალში ჩაიფლა. თუ ასეთი ბედი ეწვია უმაღლეს არისტოკრატიას, რაღა ხეირი უნდა დაყოლოდა საშუალო და მდაბალ აზნაურებს. მრავალ მათგანს ძლივს 50, ზოგს კი 25 ლივრის წლიური შემოსავლის წაგლეჯა შეეძლო თავის მამულიდან. რამდენათ უფრო ღარიბი იყო აზნაური, იმდენათ მეტს თხოულობდა ის თავის გლეხებისაგან. მარა ეს არაფერს შველოდა. სესხები მხოლოდ დროებით აძლევდენ შეღავათს და შემდეგ უარეს სიღარიბეში აგდებდენ. მარტო სახელმწიფოს შეეძლო მათთვის ერთათ ერთი საფუძვლიანი დახმარება აღმოეჩინა და აზნაურებიც ქორივით ეცენ მას. რაც მეფეს შემოსავალიანი ადგილები ქონდა, ყველა მათი ლუკმა გახდა. მარა გაღარიბებულთა და სრულ გაღატაკებაზე მიმდგართა რიცხვი წლითი-წლობით მატულობდა, და იმათთვის შესაფერათ სამსახურის რიცხვიც უნდა გაზრდილაყო: ათასნაირ სასაცილო მიზეზებს იგონებდენ, რომ როგორმე გაღატაკებულ, დამშეულ აზნაურისთვის შეძლება მიეცათ სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრების. თავის თავათ ცხადია, რომ გაღატაკებულებთან ერთათ არც დავახშიანებული ტ გაუმაძღარი უმაღლესი არისტოკრატია იყო მივიწყებას მიცემული.

ყველაზე მიმზიდველი, თბილი, სამუქთახორო კუნჭული—სასახლის თანამდებობა იყო. ჯამაგირსაც სხვაზე მეტს იძლეოდენ, ცოდნა და შრომა კი ბევრათ ნაკლები სჭიროდა კაცს. ერთი სიტყვით ეს იყო წყარო, განცხრომისა და ცხოვრების სიტკბოების მიმნიჭებელი. სასახლეში სულ 15,000 კა-

*) ტენის გამოკვლევით აზნაურთა და სასულიერო წოდების წარმომადგენელთა რიცხვი ერთათ 270,000 სულს უდრიდა დაახლოებით. მის გამოანგარიშებით 25,000-დან 30,000-მდე აზნაურთა ოჯახი იყო, რომელიც 140,000 სულს შეიცავდა. ეკლესიის მსახურთა რიცხვი 130,000 უდრიდა: ამ უკანასკნელ რიცხვში 70,000 სამრევლო და სავიკარო მღვდელი იყო, 23,000 ბერიდა 37,000 მოლოზანი.

ცი მსახურებდა: იმათში უმრავლესობის ერთათ ერთი დანიშნულება იყო კარგი ტიტული ეტარებინა და შესაფერი ჯამაგირი აეღო. აი ამ შრომის გამოსაკვებათ იხარჯებოდა მთელი სახელმწიფოს შემოსავლის ერთი მეათედი, 40 მილიონ ლივრზე მეტი, (რაც ახლანდელ ფულის ღირებულებაზე უდრის თითქმის 100 მილიონ ფრანკს, 50 მილიონ მანეთს). მარა თავად აზნაურობა ამასაც არ სჯერდებოდა. ადმინისტრაციაში ათასნაირი თანამდებობები იყო: ზოგი მათგანი ისეთი იყო, რომ დიდ შრომას და განათლებას თხოულობდა. ასეთ თანამდებობაზე ჯამაგირები უფრო ზომიერი იყო და ამიტომ უმთავრესათ მეშჩანებს (წვრილ ბურჟუა-მოქალაქეთ) ეჭირათ, თუმცა ფაქტიურათ მათ კისერზე აწვა მთელი სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმე. ამის გვერდით ისეთი თანამდებობებიც არსებობდა, სადაც მხოლოდ წარმომადგენლობა იყო საჭირო, და ასეთ თანამდებობის აღმასრულებელთ ერთათ-ერთი მოვალეობა ქონდათ, ტკბილათ და განცხრომით დროს გატარება. ასეთი თანამდებობები უხვათ ჯილდოვდებოდა და აზნაურებს ურიგდებოდა. ჯარში აფიცრებათ დანიშვნის დროს ძველათ უმთავრეს ყურადღებას მათ დამსახურებას აქცევდენ. ლუდოვიკ მე-XIV დროს ჯარში ბევრს ნახავდით აფიცრებს, როგორც აზნაურებს, ისე მეშჩანეპს.

მარა რაც უფრო მეტათ შეიქნა საჭირო თავადაზნაურობისთვის სახელმწიფოს სამსახურის ხელში ჩაგდება, მით უფრო მეტს ცდილობდა ის დიდი სამხედრო თანამდებობები აზნაურების პრივილეგიათ გაეხადა. უნტეროფიცრები, რომლებსაც მძიმე მოვალეობა აწვათ კისერზე, კიდევ შეიძლებოდა „შავი ხალხიდან“ ყოფილიყვენ, ხოლო აფიცრის ადგილები, რომელნიც კარგი შამოსავლიანი იყვენ და ამასთანავე ნაკლებ ცოდნასა და შრომას თხოულობდენ, განსაკუთრებით მშვიდობიანობის დროს, ბრწყინვალე წოდების პრივილეგიას შეადგენდა. აფიცრებზე წლიურათ 46 მილიონი ლივრი იხარჯებოდა, მთელი ჯარი კი 44 მილიონით უნდა დაკმაყოფილებულიყო. რამდენათ უფრო ღარიბდებოდა აზნაურობა, იმდენათ უფრო მედგრათ იცავდა აფიცრობის მონოპოლიას. რამოდენიმე წლით ადრე რევოლიუციის აფეთქებამდის (1781 წ.) მეფემ გამოსცა ედიკტი, რომლითაც აფიცრების ადგილი მხოლოდ ძველ აზნაურთა გვარების კუთვნილებათ შეიქნა. ვისაც აფიცრობის მიღება უნდოდა, უნდა უსათუოთ დაემტკიცებია, რომ 4 თაობა მაინც მისი წინაპრებისა აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა. ამნაირათ უკანასკნელ საუკუნეში ახლათ გამომცხვარ აზნაურებს აფიცრობის ადგილი ხელიდან გაუქრა.

(შემდეგი იქნება)

---

## ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან

(საუბარი მკითხველთან)

### IV

### სამუშაო დღე.

ზევით ვთქვით, რომ კაპიტალი ორ ნაწილათ განიყოფება: ერთი ნაწილი საწარმოვო იარაღებზე იხარჯება, ხოლო მეორე სამუშაო ძალის შესაძენათ. პირველ ნაწილს დავარქვათ ასო **გ** მეორეს **დ**; **გ** წარმოადგენს მუდმივ კაპიტალს, **დ** ცვალებადს. მაშასადამე თავდაპირველათ კაპიტალი უდრის გ+დ. ვთქვათ დაიხარჯა 300 მანეთი. 220 მანეთი საწარმოვო იარაღებზე (გ) და 80 მანეთი მუშის საქირავებლათ (დ); წარმოების ბოლოს, როცა საქონელი გაკეთდება, ჩვენ დაგვრჩება 300 მანეთი დ კიდევ ზედმეტი, რადგან, როგორც ვიცით, ზედმეტი შრომა ზედმეტ ღირებულებას იძლევა. თუ მივიღებთ, მაგალითათ, რომ ზედმეტი შრომა საჭიროს, აუცილებელ შრომას უდრის, მაშინ ჩვენს 300 მანეთს 80 მანეთი უნდა მივუმატოთ, რადგან ამდენივეა (80 მ.) სამუშაო ქირაც ე. ი. საჭირო, აუცილებელი შრომა: 220+80+80=380. ფორმულით რომ ეს მოვთქვათ იგივე და მომატებულ ოთხმოც მანეთს (ზედმეტ ღირებულებას) ასო **ე** ვუწოდოთ, მივიღებთ შემდეგს: გ+დ+ე; პირველათ დახარჯული კაპიტალი (გ+დ) გაიზარდა, ზედმეტი ღირებულება გაიჩინა (ე); ჩვენს მაგალითში ზედმეტი ღირებულება იმდენივეა, რამდენიც სამუშაო ძალის შესაძენათ დახარჯულა, მაშასადამე კაპიტალისტმა მიიღო ორი იმდენი, რამდენიც მუშის ქირათ გაიღო, ე. ი. ასი პროცენტი (100%). ეს ჩვენ შევიტყვეთ იმით, რომ შევადარეთ ზედმეტი შრომა აუცილებელ შრომას და ყოველთვის, როცა გვინდა გავიგოთ, თუ რამდენს ისაკუთრებს კაპიტალისტი მუშისაგან მუქთათ, ქირის გაუცემლათ, ყოველთვის ასე უნდა მოვიქცეთ: საჭიროა გავიგოთ **რა დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან აუცილებელი და ზედ მეტი შრომა, რა განსხვავებაა მათ შორის**; აი ამ დამოკიდებულებას ეწოდება **ზედმეტი ღირებულების ნორმა** (**норма пробовочной стоимости**), მაშასადამე ზედ-მეტი ღირებულების ნორმა არის ექსპლოატაციის რაოდენობა. აქედან ცხადია, რამდენათ უფრო დიდია ზედმეტი შრომა, იმდენათ მატულობს ზედმეტი ღირებულების ნორმაც, ხოლო პირველის შემცირება მეორის შემცირებას მოასწავებს, ე. ი. მუშის ექპლოატაციის შესუსტებას ნიშნავს, მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებას შეიცავს. **აუცილებელი შრომა, რომლის შემწეობით მუშა თავის სამუშაო ძალას აღადგენს, ე. ი. გააკეთებს იმდენს, რამდენიც მისთვის აუცილებლათ საჭიროა და ზედმეტი შრომა, რომლითაც ის ზედმეტ ღირებულებას ქმნის მარტო კაპიტალისტისათვის, ერთათ წარმოადგენენ იმ სამუშაო დროს, რომლის განმავლობაში მუშა საქონელს აწარმოებს ე. ი. სამუშაო დღეს.** ვთქვათ აუცილებელ სამუშაო დროს შეადგენს 6 საათის მუშაობა; რაც ამ ექვსი საათის შემდეგ გაკეთდება ის ზედმეტი შრომაა: თუ 8 საათს მუშაობს მუშა, ორი საათი ზედმეტი შრომაა, თუ 10 საათს—4, თუ 12—6, თუ 14—8, თუ 16—10. ექვსი საათი მან უთუოთ უნდა იმუშაოს, რადგან ამ დროს ის მხოლოდ თავისს სამუშაო ძალას აღადგენს, საარსებო ლუკმას იმზადებს; მაგრამ ვერც აქ შეწყდება მუშაობა; მუშამ უთუოთ უნდა განაგრძოს მუშაობა ექვსი საათის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოება კაპიტალისტისათვის საზარალო იქნება. ამიტომ კაპიტალისტური წარმოების დროს აუცილებელი შრომა სამუშაო დღის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენს.

არსად და არასოდეს სამუშაო დღე მთელათ აუცილებელი შრომით არ თავდება, ზედმეტი შრომა უთუოთ უნდა დაიხარჯოს, რათა მექარხნემ რაიმე „ხეირი“ ნახოს. ამიტომ სამუშაო დღის შემცირებას საზღვარი აქვს და ამ საზღვრის გადაბიჯება შეუძლებელია. სამაგიეროთ მისი გაგრძელებაც არ შეიძლება უსაზღვროთ. მუშისათვის ფიზიკურათ შეუძლებელია 24 საათის (მთელი დღე და ღამე) განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობა: რამოდენიმე დრო მუშას მოსასვენებლათ დ დასაძინებლათ ეჭირვება; მან უნდა ჭამოს, ჩაიცვას, დაიხუროს, დაიბანოს, გაირეცხოს და სხვ. ამას ყველაფერს დრო უნდა. ეს სამუშაო დღის გაგრძელების ფიზიკური საზღვარია. მას აქვს კიდევ მეორე საზღვარი, ზნეობრივათ წოდებული. მუშას ეჭირვება ცოდნა, ცოდნას—სწავლა; მუშა ქვეყანაზე მცხოვრები სულიერია, ამიტომ მან უნდა იცოდეს ცოტათი მაინც (თუ ბევრის ნებას არ აძლევენ), რა ხდება ამ ცხოვრებაში: ადევნოს თვალყური ჟურნალ-გაზეთებს, მოისმინოს ლექციები, გაეცნოს წიგნების თუ გამოცდილების საშუალებით საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებას, გაიგოს ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე, ვის როგორი პატივი უნდა სცეს და სხ.

რამდენათ ქვეყანა კულტურულათ განვითარებულია, იმდენათ მეტი აქვს ამ ქვეყნის მუშას ასეთი მოთხოვნილება; ხოლო რამდენათ მეტია ეს მოთხოვნილება, იმდენათ მეტია ადამიანით სულიერი ძლიერებაც; ის ამ ძლიერების წყალობით გამოდის ნახევრათ ზოოლოგიურ მდგომარეობიდან და საზოგადოებრივი-ცხოვრების ცნობიერი და მოქმედი წევრი ხდება. სამწუხაროთ ეს ზნეობრივი საზღვარი ჩვენებურ მუშას უფრო შორს უძევს, ვიდრე ევროპისას, მხოლოდ საბედნიეროთ, ევროპის თანამოძმეების მაგალითი და თვით ჩვენი ქვეყნის კულტურული წარმოება აახლოვებს ამ საზღვარს და მით ჩვენს მუშასაც უკეთეს მომავალს უქადის. გავიმეოროთ, მკითხველო, მოკლეთ ნათქვამი: ერთის მხრით სამუშაო დღის შემცირებას აქვს გადაუბიჯებელი საზღვარი. ის ვერასოდეს ვერ დადგება იმ დონეზე, რამდენიც აუცილებლათ საჭიროა მხოლოდ მუშის სამუშაო ძალის აღსადგენათ; ის უთუოთ ამაზე მეტი უნდა იქნეს. მეორეს მხრით სამუშაო დღის გაგრძელებას წინ ეღობება ადამიანის ფიზიკური და ზნეობრივი მოთხოვნილებანი. აი ამ საზღვრებში შესაძლებელია სამუშაო დღის შემოკლება-გაგრძელებაც.

რა რომ კაპიტალისტმა სამუშაო ძალა დღიურათ იქირავა, ეს ძალა მას ეკუთვნის მთელი დღის განმავლობაში. ამიტომ მას უფლებაც აქვს მუშას მთელი დღის მუშაობა მოსთხოვოს. კაპიტალისტი განხორციელებული კაპიტალია, ხოლო კაპიტალის დანიშნულებაა, როგორც იცი, მკითხველო, თავისი ღირებულება შეუსვენებლათ ზარდოს, ზედ-მეტი ღირებულება შექმნას, დღითი-დღე იმატოს. მკვდარ კაპიტალს მხოლოდ ცოცხალი შრომა ჩაბერავს „უკვდავ სულს“ და მით ახალ ძალას გამოჩეკს, სიმდიდრეს შექმნის. ამიტომ კაპიტალისტი მუდამ იმის ცდაშია, გამოადინოს უკანასკნელი წვეთი იმ ცოცხალ შრომას, გამოსწუწნის რაც გამოსაწუწნია და სისხლ დალეული მწარმოებელის ტანჯვით, თვითონ განცხრომას მიეცეს. ასეთია მისი ადათი! როცა მუშა იმ დროს, რომელიც მან კაპიტალისტს მიაქირავა, თუნდ ცოტათი მაინც ჩამოაკლებს და თავისს საჭიროებაზე მოიხმარს, ქურდობას სჩადისო, შემოგვჩივლებს დაჩაგრულის ხმით კაპიტალისტი და ამ შემთხვევაში მუშას ყოველთვის მუქარით და მედიდურათ მიმართავს: მე შენ დაგიქირავე მთელი დღით, მაშასადამე მე უფლება მაქვს ამ დროს განმავლობაში მოგიხმარო ისე, როგორც მესაჭიროები. ამ ნაირ თვითნებობას მე ვერ შეგაწევ, ეს ჩემთვის აუტანელია! მორჩილია მუშა, სანამ თავისი სამუშაო ძალის ნამდვილი ღირებულება ვერ გაუგია, სანამ არსებული სოციალური პირობები ვერ შეუგნია, სანამ უმწეო და მარტოხელია. მაგრამ, რა რომ ის ამას ყველაფერს შეიგნებს და შრომის წარმომადგენელნი მტკიცე, ერთობის კავშირით შეიკვრიან, ამ მუქარასაც ბოლო ეღება, მედიდურებას ფრთები ეკვეცება და მორჩილების ნაცვლათ მოესმის სამაგიერო პასუხი: მართალია ჩემი სამუშაო ძალა შენ სხვა საქონელივით გიყიდია, მხოლოდ სხვა საქონლებისაგან მით განვსხვავდები, რომ მე გარდა ჩემი სამუშაო ძალის ღირებულებისა, ახალ, ზედმეტ ღირებულებას გიკეთებ, რადგან ზედმეტ შრომას მაიძულებ. ამ ზედმეტ შრომაში შენ ჩემთვის არაფერი მოგიცია, იგი სამართლით შენ არ გეკუთვნის, მისი დასაკუთრების უფლება შენ არა გაქვს. შენ შეგიძლია ისარგებლო ჩემი სამუშაო ძალით, მხოლოდ შენ არ გაქვს უფლება გამფცქვნა, გამყვლიფო. შენ მაძლევ ერთი დღის ქირას, სამი დღისას კი მაკეთებინებ. ამიტომ მოვითხოვ და არა გთხოვ, იმდენ შრომას, რამდენიც შენ ნამდვილათ გეკუთვნის. მე კარგათ ვიცი შენ ამას გულკეთილობით, კაცმოყვარეობით არ იზამ და ამიტომ მე იძულებული ვარ საკუთარის ძალ-ღონით დავიცვა ჩემი უფლება.

ამნაირათ კაპიტალისტის უფლებას მუშა თავისა უფლებას უპირდაპირებს. „ძალა აღმართს ხნავსო“, ხომ გაგიგონია, მკითხველო? უფლებასაც მხოლოდ ძალა შეაქცევ. ეს-ეს ამ სამუშაო დღის რაოდენობა შედეგია ამ ორ ლაშქრის ბრძოლის, დაუცხრომელი შეტაკების, ბრძოლის. გადავხედოთ ამ ბრძოლის ისტორიას ინგლისში. ვალაპარაკოთ სხვები:*)

„დაოსტატებული მექარხნე მუშაობას იწყებს ექვს საათზე თხუთმეტი წამით ადრე (ხან მეტით, ხან ნაკლებით) და საღამოს ექვს საათსაც თხუთმეტ წამს გადააცილებს; სასაუზმე დროს თავში აკვეცს ხუთ წამს და ბოლოშიაც ხუთს, ხოლო სადილობისას თავში ათს და ბოლოშიც ათს. შაბათობით 2 საათის შემდეგ 15 წამს კიდევ ამუშავებს; ამნაირათ ექვს საათამდე პარავს 15 წამს, საღამოს ექვსი საათის შემდეგ კიდევ თხუთმეტს; საუზმიდან 10 და სადილიდან 20; სულ— (15+15+10+20=60) 60 წ., ანუ ერთს საათს; ხუთ დღეში 300 წამი, ანუ ხუთი საათი. შაბათობით დილის ექვს საათამდე 15 წამი, საუზმიდან 10 და სადილიდან 15; სულ— (15+10+15=40) 40 წ., ე. ი. სულ ერთათ 5 საათი და 40 წ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წელიწაში 50 სამუშაო კვირაა გამოდის, რომ მექარხნე მუშას პარავს 27 სამუშაო დღეს ერთი წლის განმავლობაში. ამ პატარა ქურდობას ქარხნის ინსპექტორები „წამების პატარა ქურდობას“ „წამების გლეჯას“ უწოდებენ, ხოლო მუშები „საჭმლისათვის დანიშნული დროის ტკვერას და ლოკვას“.

„ქალაქის იმ ნაწილში, სადაც „კრუჟოვებს“ აკეთებენ, ისეთი აუტანელი ტანჯვაა, რომ ადამიანისთვის ძნელი წარმოსადგენიცაა... 9 და 10 წლის ბავშებს გადმოათრევენ ხოლმე ლოგინიდან ალიონის 2, 3, 4 საათზე და ამუშავებენ სულ მცირე ფასათ ღამის 10, 11 და 12 საათამდე; ამ მუშაობის დროს, მათი სხეული კარგავს თავისს ბუნებრივ სივრცეს, იკუმშება, ადამიანი სულელური სახის გამომეტყველებას ღებულობს, და მთელი მათი არსება თითქო ქვავდებაო, უსიცოცხლო ხდება. სწორეთ გულშემზარავი სანახაობაა!“.

„წარსულ ზამთარს (1862 წ.) 19 ქალიშვილებიდან ექვსმა ქარხანას თავი დაანება, რადგან აუტანელი შრომისაგან ავათ გახდენ. მათ გამოსაღვიძებლათ ყვირილი მჭირდებოდა ხოლმეო“, „ბავშები ზოგჯერ დაღლილობისაგან თვალებს ველარ ახელდენ. ჩვენ, დიდებიც ვერ ვახერხებთ ხშირათ თვალების გახელას დაქანცულობისაგან“.

„მე 13 წლისა ვარ... შარშან ზამთარში ყოველ რღე საღამოს 9 საათამდე ვმუშაობდით, შარშან წინ 10 საათამდე. შარშან მუშაობისაგან ფეხები მქონდა დაიარებული და ისეთ საოცარ ტკივილებს ვგრძნობდი, რომ ხმა მაღლა გავკიოდი“. „როცა ეს ბავში, ჩემი შვილი 7 წლისა იყო, მე ის ქარხანაში დამყავდა ზურგით თოვლში და ის ამ დროს 16 საათი მუშაობდა... მე ხშირათ დავიჩოქებდი ხოლმე და საჭმელს ისე ვაძლევდი პირში, რადგან ამ დროს ის მოუშორებლათ მაშინასთან უნდა მდგარიყო: არ შეეძლო მისი არც დატოვება და არც შეჩერება“.

„ლონდონელი მებულკის მუშაობა ჩვეულებრივ ღამის ათ საათზე დაიწყება. ამ დროს იწყებს ის ცომის ზელას, რაც მეტათ დამღალავია“... „მერმე დაწვება ფიცარზე, რომელიც ამ დროს ცომიანი გობის სახურავიც არის, ფქვილის ტომარა თავქვეშ უდევს, სახურავათაც ასეთი ტომარა აქვს და ამნაირათ სულ ორი საათი სძინავს, ამის შემდეგ დაიწყება სწრაფი, შეუწყვეტელი მუშაობა ოთხი საათის განმავლო-

*) ყველა აქ მოყვანილი ცნობები ინგლისის მთავრობისაგან დანიშნული კომისიების მიერ არის შეკრებილი ორმოცი წლის წინეთ და გადმობეჭდილია სხვა და სხვა თხზულებებში, საიდანაც ჩვენ ვსარგებლობთ.

ბაში: ცომის გათელვა, გაფენა სხვა და სხვა ფორმის ბულკების კეთება, ფურნეში შეწყობა, გამოღება და სხ. ფურნეში სიცხე ამ დროს 75-დან 90 გრადუსამდე ადის (ფერეინგეტით *); პატარ პატარა ფურნეებში სიცხე კიდევ უფრო მეტია. როცა ეს მუშაობა გათავდება საქონლის დარიგება დაიწყება; დღიურ მუშების უმეტეს ნაწილს ამ მუშაობის შემდეგ დააქვს პურები კალათებით სახლიდან სახლში; თუ ამას არა, სხვა რასმე საქმეს მაინც აკეთებინებენ ფურნეში“.

„ვესტენდის მებულკეები იწყებენ მუშაობას ღამის თერთმეტ საათიდან და ცოტა შესვენებით მუშაობენ მეორე დილის რვა საათამდე. ამის შემდეგ კიდევ 4, 5, 6 ხშირათ 7 სათამდეც დაატარებენ პურებს, ან ბისკვიტებს ამზადებენ. საქმის გათავების შემდეგ ძლივს 4—6 საათით მოსვენებას მოასწრებენ და ისევ საქმეში ებმიან“.

ერთ ლონდონელ მოდისტკის სახელოსნოში „ქალები დღეში $16^1/_2$ საათს მუშაობდენ, ხოლო სეზონის დროს (როცა ბევრი სამუშაოა) 30 საათს განუწყვეტლივ და როცა ძალა აღარ შესწევდათ ხერეს, პორტფეინს (მაგარი სასმელია) და ყავას ასმევდენ გასამაგრებლათ და ისევ ამუშავებდენ. ერთ დროს ამ სახელოსნოში ძალიან ბევრი სამუშაო დაურჩათ: ბრწყინვალე ქალბატონები პრინცესა უელსის შეხვედრას ეპირებოდენ თავისი უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოსაცხადებლათ და მიაბარეს ძვირფასი კაბები საჩქაროთ შესაკერავათ. ამ სამკერვალოს ერთი მკერვალი ქალი, მერი ანა $26^1/_2$ საათს მუშაობდა შეუსვენებლათ სხვა 60 ქალთან ერთათ. ეს ქალები ორ ოთახში იდგენ. თითოში ოცდა ათი სული. თითო ლოგინზე ორ ორი იწვენ, ლოგინები კი სადღაც ბინძურ სარდაფებში ეყარა. მერი ანა ავათ გახდა პარასკევს და შაბათს გარდაიცვალა, საქმის გათავებაც კი ვერ მოასწრო. ექიმის შემოწმებით ქალი გადაცვლილა აუტანელი შრომისაგან, ვიწრო, დახშული სადგომისა და დამპალ ჰაერიანი საწოლისაგან“.

„ერთ ქარხანაში, სადაც $11^1/_2$ საათის მუშაობა იყო დაწესებული, ერთი ბავში მუშაობდა 4 ღამე კვირაში. მეორე საღამოს ცხრა საათამდე და მთელი ექვსი თვის განმავლობაში ამნაირ შრომაში იყო გაბმული“.

„ბევრ ქარხანაში ბავშები სამი-ოთხი წლიდან იწყებენ მუშაობას, მხოლოდ 7—8 წლიდან კი უფრო ხშირათ; ყველა ბავშები დიდებთან ერთათ მუშაობენ ე. ი. 16—17 საათი“.

„ერთ სამკერვალო შკოლაში ბავშები მუშაობენ $8^1/_2$ საათიდან საღამოს 7 საათამდე; პატარაები კიდევ უფრო დიდხანს: 7—13 წლის ბავშები 13, 14 საათს მუშაობენ“. „ვილგელმ გუდი 7 წლისა და ათი თვის იყო, მუშაობა რომ დაიწყო. თავდაპირველათ მას თიხის მზა ფორმები უნდა წაეღო საშრობ ოთახში და შემდეგ ცალიერები მოეტანა. ეხლა ის ყოველ დილას ექვს საათზე მიდის სამუშაოთ და საღამოს ცხრა საათზე ბრუნდება. მთელი კვირაო,—განაცხადა მან,—საღამოს ცხრა საათამდე ვმუშაობ. ასე მუშაობდა ის 7—8 კვირის განმავლობაში. 8 წლის ბავშვი და თუთხმეტი საათის მუშაობა!“

ასეთია ფაქტები ინგლისის წარსული ცხოვრებიდან ამოღებული, ჩემო მკითხველო; აბა ერთი გაიხსენე შენი დღევანდელი ცხოვრება, თუ რამდენათ წაგავს მას!..

მაგრამ კაპიტალისტი ამასაც არ კმარობს; მას უნდა მთელი 24 საათი ამუშაოს მწარმოებელი და ამისათვის ერთგვარი საშუალება გამოიგონა: მუშების ერთ რიგს დღე ამუშავებს, მეორეს ღამე. ღამე, როცა თვით ბუნება მოითხოვს ადამიანის სხეულის მოსვენებას, როცა ძლიერნი ამა სოფლისა ტკბილ ძილს მიეცემიან ანუ განცხრომაში ატარებენ დროს, როცა ირგვლივ ყველაფერი მიდუმებულია და სხვანაირად იკრებს საჭირო ძალას; ამა დროს ქარხანაში მენქანეები შეჰყრია და შრიალი მუშას უბრძანებს: ჩემთან იყავ, არ მომშორდე! და სულიერი ადამიანიც იძულებულია უსულო მანქანას გვერდში ამოუდგეს ამ უდროო დროს და მანქანის დაუღალავ მექანიზმს თავისი დაღალული სხეულიც შეუთანხმოს, მის მოძრაობას ხელი შეუწყოს! მაგრამ კიდევ კარგი, თუ დანიშნულ დროს მაინც შეცვალეს, თუ მუშების მეორე რიგი დროზე მოვიდა სრულათ, უკლებლათ; თუ მექარხნემ მუშის კვნესაწუხილის ხმა ისმინა და განთიადისას მაინც მისცა მოსასვენებელი დრო. სამწუხაროთ იშვიათათ ხდება ეს და დანიშნულ დროზე თითქმის ყოველთვის უფრო გვიან ათავებს ის მუშაობას. დავუგდოთ ყური ისევ სხვებს. აბა რას გვეტყვიან ამის შესახებ. ამ „სხვებმა“, მკითხველო ბევრი, ძალიან ბევრი საგულისხმიერო ამბების მოთხრობა იციან.

„ჩვეულება, რომლის საშუალებით ბავშებს ამუშავებენ ხან დღე და ხან ღამეო,—ამბობს ერთი გერმანელი მეცნიერი,—ხშირათ წარმოების განცხოველების და წარმოების ჩვეულებრივი მსვლელობის დროსაც, მეტათ ხელსაყრელია კაპიტალისთვის: მას საშუალება ეძლევა სინიდისს ულალატოს და სამუშაო დღე კიდე უფრო გააგრძელოს. ზოგჯერ ისეთი მაგალითები ხდება, რომ მისი წარმოდგენაც გასაჭირია. როცა ბავშების ახალი რიგი მოდის პირველი რიგის გამოსაცვლელათ, ხშირათ ახალ მოსულებს ერთი ან მეტი მუშა აკლიათ სხვა და სხვა მიზეზის გამო (ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთი აუტანელი შრომის დროს, ეს ასეც უნდა იყოს). ამ შემთხვევაში პირველი რიგიდან დატოვებენ რაოდენიმეს დაკლებულების შესავსებათ. ეს ჩვეულება ისე ცნობილია და გავრცელებული, რომ, როცა ერთი ქარხნის მმართველს შევეკითხე, როგორ იქცევით იმ შემთხვევაში, როცა ახლათ მოსულ რიგს მუშა აკლია, მეთქი, მან მიპასუხა: მე დარწმუნებული ვარ თქვენც კარგათ იცით და ჩემი გარკვევა ამის შესახებ არ გეჭირვებათო“. აი კიდევ რამოდენიმე ფაქტი:

„9 წლის ბავში მუშაობდა სამ რიგში ზედი ზედ თორმეტ-თორმეტი საათი, როცა ის 10 წლის შეიქნა, ხშირათ შეხვედრია ორი დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობა“.

„13 წლის ბავში ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდა საღამოს ექვსი საათიდან მეორე შუადღის 12 საათამდე; არა ერთხელ უმუშავნია სამ რიგში ზედიზედ ე. ი. მაგალითათ, ორშაბათს დილის ექვსი საათიდან სამშაბათ ღამის 12 საათამდე“.

„12 წლის ბავში მუშაობდა დილის ექვსი საათიდან ღამის 12 საათამდე 14 დღის განმავლობაში განუწყვეტლივ. ამ ჟამათ მას ამნაირი მუშაობა აღარ შეუძლია“. კმარა! რომელი ერთი მოგითხრო, მეგობარო! შევჩერდეთ ამ ფაქტებზე და გამოვარკვიოთ: რა შედეგი მოყვება ასეთ აუტანელ შრომას, რა გავლენას იქონიებს იგი მუშის ცხოვრებაზე ან რამდენათ საჭიროა ასეთი გრძელი სამუშაო დღე საზოგადოთ წარმოებისათვის?

(გაგრძელება იქნება)

ა. წულუკიძე.

*) სიცხის საზომია.

## საყურადღებო ციფრები

ამ დღეებში რუსულ ენაზე ერთი საინტერესო წიგნი გამოვიდა შემდეგის სათაურით „სახალხო განათლება კავკასიაში“ ბ. ადიბეგოვისა. საინტერესოა ამ წიგნში სტატისტიკური ცნობები, რომელიც ცხადათ გვიმტკიცებს კავკასიაში სწავლა გათლების უნუგეშო მდგომარეობას. ამიტომ უმნიშვნელო არ

იქნება რაც შეიძლება მოკლეთ საგულისხმიერო ციფრების მოყვანით, ეს ცნობები „ᲥᲐᲚᲘᲡ“ მკითხველებს გავუზიაროთ. დავიწყოთ სასწავლებლის რაოდენობიდან.

როგორც კავკ. სამოსწ. ოლქის მზრუნველის 1901 წ. ანგარიშიდანა სჩანს, ხსენებულ წელს განათლ. სამინ. უწყების ყველა სასწავლებელთა რიცხვი=2042, რომელიც სხვა უწყებათა სასწავლებლებთან (რიცხვ. 759) ერთათ შეადგენს 2801. ერთ მლიონ მცხოვრებზე (კავკასიაში. 10.159,748 მცხ.) მოდის 280 სასწავლებელი, ე. ი. ერთი სასწავლებელი საშვალო რიცხვით 3625 მცხოვრებზე 148,5 კვ. ვერსტის მანძილზე.

ვნახოთ ეხლა მოსწავლეთა რაოდენობა.

მოსწავლეთა მთელი რიცხვი სახალხ. განათ. უწყების სასწავლებლებისა ხსენებულ საანგარიშო წელს=183,490, რაც სხვა უწყებათა სასწავლ. მოსწავლეებთან (34,376) ერთათ შეადგენდა 222,866. ეს უკანასკნელი ციფრები, რომ მთელ მცხოვრებთა რიცხვს შევუდაროთ, დავინახავთ, რომ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲖᲔ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲨᲕᲐᲚᲝ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲖᲔ ᲢᲝᲢᲐ ᲛᲔᲢᲘ (2,2%) ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ. ეს ასეა მთელი სასწავლებლების და მოსწავლეთა რიცხვის შედარებით. მაგრამ თუ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ (რიცხვ. 1,466). ᲜᲐᲕᲘᲓᲔᲗ, ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ 4120 ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲖᲔ 238,41 ᲙᲕ. ᲕᲔᲠᲡᲢᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ. პირველ დაწყებითი სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვს, თუ მთელ მცხოვრებლებს შევუდარებთ, ვნახავთ, რომ ყოველ ას მცხოვრებზე მოდის მხოლოდ ერთ ნახევარი (1,6%) მოსწავლე. ასეთ უნუგეშო სურათს წარმოადგენს დღეს სასწავლებელთა და მოსწავლეთა სიმცირე საერთოთ მთელს კავკასიაში. უარეს მდგომარეობაშია ამ საერთო სურათის შემადგენელი ნაწილები. ასე მაგ, რუს ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ შორის ერთი პირველ-დაწყებითი სკოლა მოდის 3,600 მც., ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ შორის—ასეთი სკოლა 4,800 მც. მოდის, ᲡᲐᲛᲔᲮᲗᲐ შორის—5,400 მც., ᲛᲗᲘᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ შორის—11,400 მც. და ᲗᲐᲗᲠᲔᲑᲘᲡ შორის კი 17,300 მც, ასეთია პირველ დაწყებითი სკოლების განაწილება კავკასიაში ეროვნებათა მიხედვით, ცალცალკე, თითოეულ გუბერნიაში კი; მაგ, თფილისისაში ზაქათ. ოლქით ერთი ასეთი სკოლა მოდის 2957 მც., ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑ.—2544 მც.; განჯის—5834, ᲑᲐᲥᲝᲘᲡ—7991, ᲓᲐᲓᲔᲡᲢᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲨᲘ კი ᲔᲠᲗᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲛᲝᲓᲘᲡ 31,534 ᲛᲪ. 1277 ᲙᲕ. ᲕᲔᲠᲡᲢᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲔᲖᲔ.

შემდეგ მოყვანილია ციფრები, რომელნიც ნათლათ გვიჩვენებენ, თუ როგორ ჩამორჩენილია კავკასია სწავლა განათლებაში სახელმწიფოს დანარჩენ ნაწილებთან შედარებით. განათლების მხრით თურქესტანისა და ციმბირის შემდეგ კავკასიას რუსეთში უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

ჩვენ მოვიყვანეთ ცნობები პირველ დაწყებითი სასწავლებლების და მათში მყოფ მოსწავლეთა რიცხვის შესახებ საერთოთ. ვნახოთ ეხლა, თუ რა სურათს წარმოადგენს ᲙᲔᲠᲫᲝᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ და მათში მყოფი მოსწავლეთა რიცხვი. 1902 წლის 1 იანვრისთვის სახ. განათ. უწყების სასოფლო სკოლების რიცხვი (1491) სხვა უწყებათა სკოლებთან ერთათ შეადგენდა 2140. ერთი ასეთი სკოლა საშვალო რიცხვით ჩრდილოეთ კავკასიაში მოდის, თითქმის, ოთხ(3,7) სოფელზე, ᲡᲐᲛᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ კი ᲔᲠᲗᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲨᲕᲘᲓᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ (7,6) ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ. საშვალო რიცხვით ერთი სასოფლო სკოლა მოდის 2136-დან 12,000-მდე მცხ. ᲓᲐᲓᲔᲡᲢᲜᲘᲡ ᲨᲮᲐᲠᲔᲨᲘ კი 39,204 მც. საერთოთ განათლება თუ ასეთ მდგომარეობაშია, რა თქმა უნდა ქალთა განათლება კერძოთ უარეს მდგომარეობაში იქნება. 1901 წ. კავკასიის ყველა საშვალო სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი=22,895 კ. ამ რიცხვიდან ქალები მხოლოდ 39,7% შეადგენდა, ე. ი. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲓ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲖᲔ მოდის ორმოცზე ცოტა ნაკლები მოსწავლე ქალი. საშვალო სასწ. მოსწავლე ქალთა რიცხვს საერთოთ მცხოვრებლებ ქალთა რიცხვთან შედარებით პროცენტებში გამოვხატავთ, დავინახავთ, რომ ყოველ ას ქალზე მოდის მთელის სამი მეათედი (0.3%). ორივე სქესის ყველა მცხოვრებლებთან შედარებით კი ერთ მეათედ პროცენტს (0,1%) შეადგენს. ჩვენებურათ რომ ვთქვათ, მთელს კავკასიაში 1901 ᲬᲔᲚᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ 300 ᲛᲪᲮᲝᲕᲠ. ᲥᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲥᲐᲚᲘ, ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲘᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ 1000 ᲛᲪ. ეს შეეხება საშვალო განათლებას. რაც შეეხება ქალთა პირველ დაწყებით და დაბალ განათლებას, ამის შესახებ კი ციფრები შემდეგს გვეუბნება: პირველ დაწყებითი და დაბალ სასწავლებლების მოსწავლე ქალთა მთელი რიცხვი=45,383, რაც ორივე სქესის მოსწავლეთა 23,4% შეადგენს, ე. ი. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲖᲔ ᲓᲐᲑᲐᲚ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ 23 ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲥᲐᲚᲘ. ყოველ ას მცხოვრებ დედათა სქესზე ხსენებულ სკოლებში თითქმის ერთზე ნაკლები (0,97%) მოსწავლე ქალი მოდის.

შემდეგი ციფრები რომლებიც შეეხება სამოსწავლო ენას სახალხო სკოლებში გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი ენები თანდათან იდევნება და მათ ადგილს იჭერს რუსული. მაგ. 1879 წ. თუ ყოველ ას სახალხო სკოლაში 18-ტი ისეთი იყო, სადაც სამშობლო ენაზე ასწავლიდენ წერა-კითხვას, 1883 წელს ე. ი. 5 წლის განმავლობაში მათი რიცხვი განახევრდა, ერთი წლის შემდეგ კი ცხრიდან თითქმის ერთზე დავიდა, 1891 წელს ეს ერთი პროცენტიც გაუქმებულ იქნა, მოსპეს სამშობლო ენაზე სწავლება. სამაგიეროთ გაიზარდა იმ სახალხო სკოლათა რიცხვი, სადაც წერა-კითხვას მარტო რუსულ ენაზე ასწავლიან. 1879 წელში თუ უკანასკნელთა რიცხვი 37% უდრიდა, სამაგიეროთ1401 წელს ის—88,2%. ე. ი. ოცდა ორი წლის წინეთ თუ კავკასიაში ასზე მხოლოდ ოცდაჩვიდმეტ სკოლაში ასწავლიდენ წერა-კითხვას მარტო რუსულ ენაზე, დღეს სამაგიეროთ 88-ში ასწავლიან. აქ დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ „მუნჯურ მეთოდს“.

დასასრულ უმნიშვნელო არ იქნება აღვნიშნოთ, თუ რა მონაწილეობას იღებს ხაზინა კავკასიაში სახალხო განათლების ხარჯებში, ეს ერთი. მეორე—რამდენი იხარჯება ამავე განათლებაზე საერობო თანხიდან. პირველის მონაწილეობა გამოიხატება 11,9%-ით ე. ი. ᲧᲝᲕᲔᲚ 100 ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲖᲔ, ᲮᲐᲖᲘᲜᲐ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲡ 11 Მ. 90 Კ. რაც შეეხება საერობო თანხას, რომელიც 1901—1903 წლების ხარჯთ-აღრიცხვით 3.366.081 მ. უდრის წლიურათ, აქედან სახალხო განათლებაზე იხარჯება 121.324 მ., ე. ი. საერთო ბიუჯეტის 3,06%.101.966 მ. ხმარდება საპატიმროების აშენებას, რაც მთელი ბიუჯეტის 2,6% შეადგენს. ბევრი სხვა საინტერესო ცნობებიც არის ხსენებულ წიგნში, მაგრამ უადგილობისა გამო ვერ მოგვყავს, ისე კი ვურჩევთ ყველა გულდასმით წაიკითხონ ხსენებული წიგნი, რათა შემდეგ კავკასიაში ავაზაკობის მოსასპობლათ სახალხო განათლების გაძლიერებას ეცადონ.

განშინ

---

ამ ნომრისთვის დამზადებული წერილი „ᲔᲥᲘᲛ ᲨᲢᲝᲙᲛᲐᲜᲘᲡ“ წარმოდგენის შესახებ უადგილობის გამო, შემდეგი №-თვის გადაიდვა.

დრ. რედაქტორი — Ნ. Ი. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲡᲮᲘᲔᲕᲘ.

გამომცემელი — Ა. Მ. Თ.-ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Ноября 1903 г.

Тип. Е. И. Хеладзе, Русскій базаръ д. армянск. дух. семинаріи.